2013 წელი, 27 ივნისი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

ახალი განათლება

№25 (619) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



15 წლისაა

ღია წერილი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს

ვინაიდან ვერ მოვახერხეთ უშუალოდ თქვენთან ან თქვენი უწყების კომპეტენტურ წარმომადგენლებთან შეხვედრა, გადავწყვიტეთ გაზეთის საშუალებით მოგაწვდინოთ ჩვენი გასაჭირი და შესაბამისი თხოვნა.

ჩვენს პატარა, ლამაზ, მთაგორიან სოფელში კულტურისა და განათლების ერთადერთი წყარო ცხრანლიანი სკოლაა, სადაც 35 მოსწავლე სწავლობს (რამდენიმე წლის წინ მათი რაოდენობა 95 იყო). მათ ასწავლიან პროფესიონალი და კვალიფიციური პედაგოგები და შედეგიც სახეზეა: ჩვენი შვილები საკმაოდ წარმატებულნი არიან („ლეონარდო და ვინჩი“ 2012-ის, საგნობრივი ოლიმპიადების, მრავალი პროექტის, კონკურსისა და კონფერენციის გამარჯვებულები, დიპლომებით, სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულნი). ასეთი ბავშვები, ცხადია, იმსახურებენ ნორმალურ სასწავლო გარემოს, მაგრამ შენობა, სადაც ისინი სწავლობდნენ, წლების განმავლობაში ავარიულ მდგომარეობაში იყო. სკოლის დირექციის მიერ, შესაბამის ინსტანციებში განუწყვეტელი, სისტემატიური მცდელობის მიუხედავად, ახალი შენობის აშენება დაპირებად დარჩა და მიმდინარე წლის იანვარში არსებული შენობა ისე ჩამოინგრა, რომ სასწავლო პროცესის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. ამჟამად სკოლა მუშაობს ორცვლიანი რეჟიმით, არანაკლებ ავარიულ, უძველეს, არასტანდარტულ შენობაში, ოთხ ოთახში (4-5მ^2), რომლებიც ერთმანეთთან ღია კარებითა და ფანჯრებითაა დაკავშირებული. ასეთ პირობებში როგორც საგაკვეთილო, ისე კლასგარეშე მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია.

სკოლის დირექტორი ნუნუ ანდღულაძე კარგა ხანია გვპირდება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური კომისია გადაწყვეტს სკოლის მშენებლობის საკითხსო, მაგრამ დრო მიდის და ვშიშობთ, ბოლოს კომისიამ უარყოფითი გადაწყვეტილება არ მიიღოს.

მოგახსენებთ, რომ ახალი შენობის გარდა სხვა ალტერნატიული გზა არ გაგვაჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებულნი გავხდებით, დავტოვოთ სოფელი. დღეს 35 ოჯახის მიერ სოფლის დატოვება უახლოეს მომავალში სოფლის დაცარიელებას ნიშნავს.

უმორჩილესად გთხოვთ, კიდევ ერთხელ გადაამოწმოთ აღნიშნული ფაქტი. გულთან მიიტანოთ ჩვენი გასაჭირი, არ დაგვტოვოთ უყურადღებოდ, აგვიშენოთ სკოლა, რათა ჩვენმა შვილებმა უსაფრთხო სასწავლო გარემოში მიიღონ სრულფასოვანი განათლება. ამ კეთილშობილური საქმით თქვენ გადაარჩენთ ერთ მაღალმთიან სოფელს.

გვაქვს თქვენი გულისხმიერების, მაღალი ზნეობისა და შორსმჭვრეტელობის იმედი. გმადლობთ.

მშობელთა სახელით, **რევაზ ზაქარეიშვილი**
ჩოხატაურის რაიონის სოფელი წიფნარი

გამოხმაურება

რა მოგვცა სპორტის გაკვეთილმა

ბატონო ყაზბეგ, წავიკითხე თქვენი წერილი, რომელიც გამოქვეყნდა 2013 წლის 12 ივნისის გაზეთ „ახალ განათლებაში“. თქვენ გულისტკივილით აღნიშნავთ, რომ თქვენი სკოლისა და თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობის საიუბილეო (50) წელს ხვდებით ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარების გარეშე.

2004 წლიდან დღემდე განათლებისა და მეცნიერების 7 მინისტრი შეიცვალა. რიცხვი 7 მისტიკურია, ბევრის, უთვალავის გამომხატველია. ერთი რამ ცხადია, ცხრა წლის განმავლობაში „უთვალავი“ მინისტრის თითო-თითო შეცდომა, არასწორი ექსპერიმენტი, ცვლილება სრულიად საკმარისია განათლების სისტემის დასანგრევად, რაც სამწუხაროდ მიღწეულ იქნა კიდეც.

ყველაფერი ასე დაიწყო: პედაგოგებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ფიზკულტურა – ეს არ არის სპორტი, უბრალოდ ხელების ქნევაა“. უპრეცედენტო შემთხვევაა, რბილად რომ ვთქვათ, პრეზიდენტმა შეცდომა დაუშვა. ფიზკულტურა მეცნიერებაა და არა უბრალოდ ხელების ქნევა. ფიზკულტურა, ისტორიულად, ადამიანის სხეულის ყოველმხრივ სრულყოფასა და გაჯანსაღებას ემსახურებოდა, ფიზიკური ვარჯიშის საშუალებით.

რომელიმე დარგის, მეცნიერების თუ სტრუქტურის მინისტრი იმიტომ არსებობს, რომ შეცდომა არ დაუშვას. თუ თავად ვერ ერკვევა, მაშინ საზოგადოების აზრი გაითვალისწინოს, პროფესიონალებს მიანდოს გადაწყვეტილების მიღება. ამჯერად ასე არ მოხდა. ესაო და, პრეზიდენტმა ბრძანაო, მისი ერთი ხელის აქნევას მსწრაფლ აჰყვნენ და ამოიღეს სკოლის სასწავლო საგანთა ნუსხიდან უძველესი საგანი /მეცნიერება/ „ფიზკულტურა“ და შეცვალეს „სპორტით“.

ბატონო ყაზბეგ, თქვენ აღნიშნეთ, რომ ფიზკულტურის სანაცვლოდ, სპორტის გაკვეთილების შემოღებით, შესაძლოა სპორტის მუშაკთა, ფიზკულტურის პედაგოგთა სამჭედლო – თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური და სპორტის ინსტიტუტი თავისი უნიკალური ინფრასტრუქტურით განადგურდა, რაც სრულიად შესაძლებელია. მსგავსად, სკოლაში სპორტის გაკვეთილების შემოღებით განადგურდა ფიზკულტურის ინფრასტრუქტურა. ანალოგიურად, ინტეგრირებული გაკვეთილების შემოღებით განადგურდა ყველა საგნის კლას-კაბინეტები და კაბინეტ-ლაბორატორიები. ასევე, ბიბლიოთეკების დახურვა არის დიდი უკან გადადგმული ნაბიჯი წიგნიერების ამაღლების თვალსაზრისით.

არ მიწყინონ ადრე ფიზკულტურის და ამჟამად სპორტის დამწყებმა მასწავლებლებმა, თუ ვაგრძელებ ბატონ ყაზბეგის აზრს. რა კარგია სპორტის გაკვეთილების ჩატარება – ირჩევ სპორტის რომელიმე სახეობას, მაგალითად ფეხბურთს, გაუგორებ ბურთს, ბურთს აედევნება კლასის რამდენიმე მოსწავლე და იწყება შეძახილი: „ამარი, ჰეე“ და „ამარი, ჰა“. რა ქნან კლასის დანარჩენმა მოსწავლეებმა? მათთვისაც არსებობს გამოსავალი: პატარებმა იცეკვონ შალახო, დიდებმა იჭორაონ სასიყვარულო ისტორიებზე.

მაინც რა მოგვცა სპორტის გაკვეთილმა? მხოლოდ ის, რომ მოსწავლეები ამთავრებენ მე-12 კლასს ისე, რომ არ იციან ელემენტარული რამ – რიგში მოწყობა, მწყობრში სიარული, მარჯვენა და მარცხენა, სწორება და სმენა და ა.შ. სწორედ ასეთი გოგო-ბიჭები დადიან ჩვენს ქუჩებში, ასეთი ახალგაზრდები იწყებენ სამსახურს ჯარში.

ამჯერად მაინც, არაფერი უშლით ხელს განათლების მესვეურთ – არც პრეზიდენტი, არც პროფესიონალიზმი, არც გამბედაობა – გააუქმონ ერთი პიროვნების ახირების გამო, წინამორბედი მინისტრების უმართებულო გადაწყვეტილება და სკოლებს დაუბრუნონ უძველესი საგნები: ფიზკულტურა, ასტრონომია, ხაზვა და უმნიშვნელოვანესია, დაუბრუნონ ბავშვებს მათივე კუთვნილება – წიგნები, რომლებიც ობმოკიდებული ელოდება მკითხველს ბოქლომდადებულ სასკოლო ბიბლიოთეკებში.

დემურ კუხალეიშვილი
ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი
ჩხორრიის საჯარო სკოლა, ზუგდიდი

ინფორმაცია

სკოლებისთვის სახელმძღვანელოების გადაცემის პროცესი მიმდინარეობს

სასკოლო სახელმძღვანელოების საჯარო სკოლებისთვის ეტაპობრივად გადაცემის პროცესი დაიწყო.

წელს პირველად, საჯარო სკოლების ყველა მოსწავლე სახელმწიფოსაგან სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებს. სექტემბერში მოსწავლეებს წიგნები საკუთარ სკოლებში დახვდებათ. ამ ეტაპზე სამი მილიონი (60%) სასკოლო სახელმძღვანელოა დაბეჭდილი.

საქართველოს მასშტაბით სახელმძღვანელოების დარიგების პროცესი 18 ივნისს დაიწყო, სახელმძღვანელოთა 50% უკვე გადაეცათ ზესტაფონის, ქობულეთის, აბაშის, გარდაბნის და მცხეთის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებს. სახელმძღვანელოთა საჭირო რაოდენობის 50-50% გადაეცა თბილისის 44 საჯარო სკოლას.

წიგნების სკოლებისათვის გადაცემა ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება. პროცესი კარგად ორგანიზებულია და, შესაბამისად, ხარვეზების გარეშე მიმდინარეობს.

იმერეთის რეგიონში ფსიქოლოგიური ცენტრი ამოქმედდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **გიორგი მარგველაშვილმა** ქუთაისში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ბაზაზე შექმნილი ფსიქოლოგიური ცენტრი გახსნა.

მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრი, რომელიც ფსიქოლოგების, ბავშვთა ფსიქიატრებისა და სოციალური მუშაკებისგანაა დაკომპლექტებული და კვალიფიციურ ფსიქოსოციალურ მომსახურებას გაუწევს ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე 6-დან 18 წლამდე სკოლის მოსწავლეებსა და მათი ოჯახის წევრებს. კერძოდ, დაეხმარება:

- იმპულსური ქცევის მართვასა და საკუთარი თავის კონტროლის უნარის გამომუშავებაში;
- აგრესიული ქცევის შემცირებაში;
- ემოციების რეგულაციაში;
- თანატოლებთან პრობლემური ურთიერთობის მოგვარებაში;
- კომუნიკაციის და კონფლიქტების მართვის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;
- მშობელსა და შვილს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებაში;
- ინტერპერსონალური ურთიერთობების დარეგულირებაში.

ცენტრი ასევე საგანმანათლებლო საქმიანობას განახორციელებს სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და მანდატურებთან. ფსიქოლოგიური ცენტრის მომსახურება ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ თერაპიას და თემატური ტრენინგ-პროგრამების შემუშავებას და ჩატარებას.

ფსიქოლოგიური ცენტრი, მანდატურის სამსახურის ბაზაზე, თბილისში, აპრილის თვიდან ამოქმედდა და სკოლების ადმინისტრაციის რეკომენდაციით მისულ მოსწავლეებს უწევს დახმარებას.

ქუთაისის ცენტრი სკოლებს იმერეთის რეგიონის მასშტაბით გაუწევს მომსახურებას.

ზუგდიდელი პედაგოგი სამკერდე ნიშნით „ამაგდარი“ დაჯილდოვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **გიორგი მარგველაშვილმა** სამინისტროს ჯილდო – სამკერდე ნიშანი „ამაგდარი“ მერაბ კოსტავას სახელობის ზუგდიდის №2 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს – **ვაჟა ესართიას** გადასცა.

ვაჟა ესართია ზუგდიდის №2 საჯარო სკოლაში 1956 წლიდან მუშაობს, აქტიურადაა ჩართული სწავლა/სწავლების პროცესში, იყენებს თანამედროვე მეთოდოლოგიებს, გამოცემული აქვს რეკომენდაციათა კრებული ფიზიკის მასწავლებელთათვის. აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში. 2008-2009 წლებში სკოლის საუკეთესო პედაგოგად დასახელდა. არის მის მიერვე დაფუძნებული სკოლის მოსწავლეთა სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი და არაერთი ინიციატივის ავტორი. მისი მოსწავლეები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო გამოფენებში მონაწილეობენ და დაჯილდოებულები არიან მადლობის სიგელებით. ამავე მოსწავლეების მიერ შეიქმნა რამდენიმე სასწავლო რესურსი ფიზიკაში, რომლითაც სკოლის სასწავლო ლაბორატორია შეივსო.

ვაჟა ესართიამ დამსახურებულად მიიღო ჯილდო, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის ინიციატივით, განათლების სისტემის თანამშრომელთათვის დაწესდა. ბენეფიციარებს სამკერდე ნიშანი „ამაგდარი“ მომავალი თაობის აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის გამო გადაეცემათ. პირველ ეტაპზე, სამინისტრო სამკერდე ნიშნით საქართველოს საჯარო სკოლების ათ ღვაწლმოსილ პედაგოგს აჯილდოებს.

შეხვედრა ბათუმელ პედაგოგებთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი მარგველაშვილი** ბათუმის საჯარო სკოლების მასწავლებლებს შეხვდა და ის სიახლეები გააცნო, რომელიც ბოლო პერიოდში ზოგადი განათლების მიმართულებით განხორციელდა. მინისტრმა სამინისტროს ჯილდო – სამკერდე ნიშანი „ამაგდარი“ ბათუმის №2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელს – **ნარგიზა ბერიძეს** გადასცა.

ნარგიზ ბერიძემ პედაგოგიური მოღვაწეობა ქედის რაიონში დაიწყო, ბათუმის №2 საჯარო სკოლაში 1996 წლიდან მუშაობს, ახალგაზრდა თაობების აღზრდაში შეტანილი წვლილისთვის არაერთი ჯილდო და ქების სიგელი აქვს მიღებული, მუდმივად იმაღლებს კვალიფიკაციას, არის შემოქმედებითი და სიახლეების მიმდევარი, მონაწილეობს სასწავლო კონფერენციებსა და სემინარებში.

დაჯილდოების შემდეგ, გიორგი მარგველაშვილმა პედაგოგთა შეკითხვებსაც უპასუხა.

საერთაშორისო კვლევა

PIRLS 2011
კვლევის შედეგების შეჯამება და რეკომენდაციები

ია კუტალაძე
გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევისა და საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი

„ახალი განათლების“ ერთ-ერთ ნომერში წარმოგიდგინეთ წიგნიერების საერთაშორისო კვლევის, PIRLS 2011-ის შედეგები. განვიხილეთ ის ფაქტორები, რომლებიც კავშირშია მოსწავლეთა წიგნიერებასთან. ცხადია, ის, თუ როგორია მოსწავლეთა მიღწევა კითხვაში, **სხვადასხვა მიზეზის** კომპლექსური, ერთობლივი მოქმედების შედეგს წარმოადგენს. ეს მიზეზები შეიძლება დაიყოს/კლასიფიცირდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად არსებითია მათი გავლენა მოსწავლეთა მიღწევაზე, ანუ რამდენად შეიძლება მათ საფუძველზე **ვიწინასწარმეტყველოთ მოსწავლეთა შედეგი კითხვაში.** ამგვარი ანალიზი გვეხმარება მოსწავლეთა მიღწევების ინტერპრეტირებასა და იმის გარკვევაში, რატომ აქვს მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფს უკეთესი თუ უარესი შედეგი ნიგნიერებაში. იმისთვის, რომ გამოგვეკვეთა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, დამატებით გაანალიზდა კვლევაში საქართველოს შედეგები. რეგრესიული და ფაქტორული ანალიზის საშუალებით განისაზღვრა კვლევაში ჩართული ის ცვლადები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევაზე.

სტატისტიკური ანალიზის შედეგების შეჯამება

PIRLS-ის კვლევაში მოსწავლეთა მიღწევების განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ ინფორმაცია მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის, დირექტორის კითხვარების საშუალებით გროვდება. სტატისტიკური ანალიზი მოსწავლეთა მიღწევებისა და მასზე მოქმედი ფაქტორების შესახებ განზოგადებული მსჯელობის საშუალებას გვაძლევს. პირველ რიგში წარმოგიდგენთ **მასწავლებლის** კითხვარით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს, შემდეგ კი მშობლის, დირექტორის, მასწავლებლისა და მოსწავლის კითხვარებით მიღებული ინფორმაციის **კომპლექსურ ანალიზს**.

მასწავლებელი. ქვემოთ მოცემულია იმ ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორის აღწერა, რომლებიც **მასწავლებლის** კითხვარით მიღებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოიყო. ეს ფაქტორებია: *(1). კლასში მოსწავლეთა რაოდენობა და სამუშაო პირობები (2). პოზიტიური სასწავლო გარემო, (3). მასწავლებლის მიერ საკუთარი სამუშაოს მნიშვნელობის გაცნობიერება და მოსწავლის მიმართ პოზიტიური მოლოდინი და (4). მასწავლებელთა თანამშრომლობა.*

მნიშვნელოვანი ფაქტორების განხილვისას მოტანილია სხვა კვლევითი მონაცემებიც, რომლებიც ადასტურებს ამ ფაქტორების მნიშვნელობას დაწყებით კლასებში მოსწავლეთა წიგნიერების, და ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესში.

კლასში მოსწავლეთა რაოდენობა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლადი, მასწავლებლის სამუშაო პირობები.

არაერთი კვლევა მიუთითებს, რომ დაწყებით კლასებში ბავშვების მცირე რაოდენობა ხელს უწყობს კითხვის უნარების განვითარებას (Rivkin, Hanushek & Kain, 2005). ბაღსა და დაწყებით კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა (20-ზე ნაკლები) პოზიტიურ კავშირშია მათ მიღწევასთან. მეტა-ანალიტიკური კვლევის მიხედვით, კლასებში, რომლებშიც 20-ზე ნაკლები მოსწავლე სწავლობს, ბავშვები მათემატიკასა და კითხვაში უფრო მაღალი მიღწევებით გამოირჩევიან. მცირე ზომის კლასის გავლენა უფრო მეტად აისახება დაწყებით კლასებში დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან შემოყვანილ ბავშვებზე. კლასებში, რომლებშიც ცოტა ბავშვი სწავლობს, ზოგადად, რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების (უმცირესობების წარმომადგენლები, ბავშვები დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან, ქალაქის ღარიბი უბნების მაცხოვრებლები) აკადემიური მიღწევა უფრო მაღალია (Finn, Gerber, 2005). რადგან საქართველოში არცთუ მცირეა დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც ვერ ექნებათ შესაბამისი მხარდაჭერა ოჯახის მწირი ეკონომიკური ან საგანმანათლებლო რესურსის გამო, აუცილებელია, მათ ეს მხარდაჭერა სკოლაში მიიღონ. ამასთან, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება დიდ კლასებში ვერ ხერხდება, რაც ართულებს პედაგოგის შრომას და ამცირებს მის ეფექტიანობას.

თუმცა, აქვე უნდა აიღნიშნოს, რომ მკვლევართა აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტურია კლასის ზომის შემცირებაზე რესურსების ხარჯვა, იყოფა. მათი ნაწილი თვლის, რომ კლასის ზომის შემცირებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. თუმცა, კლასის ზომის შემცირებაზე გაწეულ ხარჯებს ვერ მოაქვს მისი საპირწონე შედეგები. კლასის ზომის შემცირება მაღალხარჯიანი ინტერვენციაა და თანაბრად ეფექტური არ არის ყველა კონტექსტისთვის. როგორც აღნიშნავენ, კლასის ზომა უფრო დიდი შეიძლება იყოს იმ ბავშვებთან, რომლებსაც აკადამიური წარმატების მისაღწევად კარგი წინაპირობა აქვთ. მაგრამ, კლასის ზომის შემცირება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა, უფრო გამართლებული იყოს მოწყვლად ჯგუფებთან. **შესაბამისად, სკოლას უნდა ჰქონდეს კლასის ზომის განსაზღვრის თავისუფლება მისი საჭიროებიდან გამომდირე,** რაც პედაგოგს მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით დახმარებისა და სასწავლო მიზნების ეფექტურად განხორციელების საშუალებას მისცემს.

პოზიტიური სასწავლო გარემო. ეს ფაქტორი აერთიანებს სკოლის უსაფრთხო გარემოსა და მასწავლებელთა მიერ სასწავლო გეგმების მიზნების გააზრებასა და განხორციელებას.

პოზიტიური სასწავლო გარემო ამხნევებს და აქეზებს მოსწავლეებს, სრულად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი, ახდენს მათი ინდივიდუალური მოთხოვნილებებისა და ინტერესების იდენტიფიცირებას, გათვალისწინებას და დელიკატურად აგვარებს ჯგუფებში წარმოქმნილ პრობლემატურ საკითხებს (New Zealand Qualifications Authority, 2010).

პოზიტიურ სასწავლო გარემოსა და მოსწავლეთა მიღწევას შორის არსებულ დადებით კავშირზე მრავალი კვლევა მიუთითებს. სტრესული და საფრთხის შემცველი გარემო უარყოფითად მოქმედებს ბავშვების მიღწევებზე. საფრთხე დაცვის მექანიზმებისა და იმ ქცევების გააქტიურებას ახდენს, რომლებიც კარგია „გადარჩენისთვის“, მაგრამ ხელს უშლის სწავლას (Jensen, გვ.57, 1998). უსაფრთხო გარემო გულისხმობს როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ უსაფრთხოებას. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რთულია სკოლის გარეთ მოქმედი სტრესორების გაკონტროლება, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა ხელს შეუწყობს მოსწავლეების ისეთი საფრთხეებისგან დაცვა, როგორებიცაა: სხვა ბავშვების მიერ დაჩაგვრა, მასწავლებლების არასწორი მიდგომები დისციპლინასთან დაკავშირებით და სხვ. უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად მასწავლებლებმა არაძალადობრივი ატმოსფერო უნდა შეინარჩუნონ.

მოსწავლეებს, რომლებიც პატივს სცემენ მასწავლებლებს, ემორჩილებიან წესებს და გააჩნიათ მზაობა სწავლისათვის, თავიანთი წვლილი შეაქვთ პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებაში და, აგრეთვე, ხელს უწყობენ **მასწავლებელთა ენთუზიაზმის, ეფექტურობისა და ერთგულების გაზრდას** (Hanushek, Kain, Rivkin, 2004; Kelly, 2004; Stockard and Lehman, 2004).

PIRLS 2011-ში საქართველოს შედეგები და სხვა კვლევითი მონაცემები, ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანია სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა. ამ კონტექსტში განსაკუთრებით არსებითია სკოლის დირექტორის როლი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, სკოლის დირექტორების **პროფესიული ზრდის მხარდაჭერა**.

მასწავლებლის მიერ საკუთარი სამუშაოს მნიშვნელობის აღქმა და მოსწავლის მიმართ პოზიტიური მოლოდინი.

ადამიანის შრომითი კმაყოფილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა მის მიერ საკუთარი სამუშაოს/დავალების მნიშვნელოვნების აღქმაა. PIRLS 2011-ის მიხედვით, როდესაც **პედაგოგს გაცნობიერებული აქვს თავისი სამუშაოს მნიშვნელობა, აქვს შრომითი კმაყოფილების განცდა და მოტივირებულია, ის უკეთეს შედეგს აღწევს.** კვლევებმა აჩვენა, რომ მაღალი მიღწევის მქონე მოსწავლეთა სკოლებში დიდი ყურადღება ექცევა პედაგოგთა წრეში ბავშვების მიმართ მაღალი მოლოდინების ჩამოყალიბებას (Carter, 2000). მოსწავლის მიმართ მაღალი მოლოდინი კრიტიკულ როლს თამაშობს მის მოტივაციაში, თავდაჯერებულობასა და წარმატებაში. კვლევითი მონაცემები ცხადყოფს, რომ სასკოლო გარემო და მოსწავლეების მიმართ მოლოდინი – *თითოეულ მოსწავლეს შეუძლია და ყველა შეძლებს კარგად სწავლას* – ხელს უწყობს ეფექტურ სწავლებასა და სწავლას.

მოსწავლეთა მიღწევებზე მნიშვნელოვნად აისახება მასწავლებლების მჭიდრო თანამშრომლობა.

ისეთი კომპლექსური მიზნების მისაღწევად, როგორებიცაა ხარისხიანი განათლება და სკოლის განვითარება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლაში მომუშავე ადამიანების თანამშრომლობასა და საერთო მიზნებზე ორიენტაციას, რაც განაპირობებს თითოეული მასწავლებლის რესურსებისა და სტრატეგიების კოორდინაციას, რადგან ამ მიზნების მიღწევა არც ერთ მასწავლებელს არ შეუძლია სულ მცირე სხვა ერთი ადამიანის დახმარების გარეშე. **თანამშრომლობა ემოციური და სოციალური მხარდაჭერის საფუძველია.** მას შეუძლია როგორც პროფესიონალიზმის, ისე თვითეფექტურობის გრძნობის გაზრდა და სტრესის თავიდან აცილება (Rosenholz, 1989; Clement and Vanderberghe, 2000). ამასთან, **მასწავლებელთა შორის თანამშრომლობა პოზიტიურად უკავშირდება მოსწავლეთა მიღწევების ზრდას კითხვასა და მათემატიკაში** (Goddard, Goddard, 2007). ამ ფაქტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სკოლის დონეზე უნდა წახალისდეს პედაგოგთა თანამშრომლობა, კოოპერაცია, ერთობლივი მიზნების განსაზღვრა, სწავლების შედეგების ერთობლივი შეფასება და განხილვა.

კომპლექსური ანალიზი. ამჯერად წარმოგიდგენთ მშობლის, მასწავლებლის, სკოლის დირექტორისა და მოსწავლის კითხვარებით მიღებული ინფორმაციის (ანუ კვლევაში ჩართული ყველა ცვლადის) კომპლექსურ ანალიზის შედეგებს.

რეგრესიული და ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოიყო ოთხი **ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეთა მიღწევებზე. ეს ფაქტორებია:** *კითხვასთან დაკავშირებული ადრეული, სკოლამდელი აქტივობები და მზაობა; მშობლის ჩართულობა შვილის სწავლების პროცესში; სკოლის აქცენტი სასწავლო გეგმისა და მისაღწევი მიზნების განხორციელებაზე და სამუშაო პირობები; ბავშვის კითხვისადმი პოზიტიური დამოკიდებულება.* მოკლედ განვიხილოთ თითოეული ფაქტორი:

კითხვასთან დაკავშირებული ადრეული, სკოლამდელი აქტივობები და მზაობა.

როგორც PIRLS 2011-ის შედეგები გვიჩვენებს მშობლის ჩართულობასა და ბავშვის წიგნიერებაზე ზრუნვას არსებითი, განსაკუთრებული როლი ენიჭება ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე. მშობლების ჩართულობა ბავშვის წიგნიერებასთან დაკავშირებულ ადრეულ აქტივობებში, მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსწავლის წიგნიერებასა და მის მიღწევებს კითხვაში. სხვა კვლევითი მონაცემებიც ადასტურებს კითხვასთან დაკავშირებული ადრეული, სკოლამდელი აქტივობების კავშირს მოსწავლის მიღწევასთან. კლევებმა გამოავლინა პრედიქტორები, რომლებიც ძლიერად და კონსისტენტურად წინასწარმეტყველებენ სამომავლო მიღწევებს კითხვაში. ესენია: ადრეულ ასაკში *ანბანისა და იმის ცოდნა, თუ როგორ ჟღერს დაწერილი ასოები; იმის ცოდნა, რომ ბგერა დაწერილ/დაბეჭდილ ასოებს უკავშირდება; სალაპარაკო ენაში ბგერებით მანიპულირების შესაძლებლობა, მაგ., სიტყვების დამარცვლა; ასოების, ციფრების, ობიექტების, ან ფერების თანმიმდევრულად, სწრაფად დასახელება; საკუთარი სახელის, ან ცალკეული ასოს წერა და სხვა.* PIRLS 2011-ის შედეგი მიუთითებს, რომ **საქართველოში სკოლამდელ განათლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან იმ ბავშვებს, რომელთაც ადრეულ ასაკში სოციოეკონომიკური კონტექსტის, მშობელთა განათლებისა თუ რაიმე სხვა ფაქტორის გავლენით, აკლიათ წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში მათი მხარდაჭერა, ეხმარება ამ პრობლემის დაძლევასა და მიღწევის დონის გაუმჯობესებაში.**

მშობლის ჩართულობა შვილის სწავლების პროცესში (მონიტორინგი და მხარდაჭერა).

არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც ჩართულები არიან შვილების სწავლის პროცესში, უფრო მაღალი აკადემიური მიღწევით ხასიათდებიან, ვიდრე ისინი, ვისი მშობლებიც ამ კუთხით ინტერესს არ იჩენენ (Jeynes, 2005). მშობელთა ჩართულობის შემთხვევაში **უფრო დაბალია** მოსწავლეთა სკოლიდან დროებით გარიცხვის მაჩვენებლები, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება და ძალადობრივი ქცევა. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა განათლებაში მშობელთა ჩართულობა მიღწევის ორჯერ უფრო ძლიერ პრედიქტორს წარმოადგენს, ვიდრე სოციალ-ეკონომიკური სტატუსი. **მშობლის ჩართულობას შვილის სწავლების პროცესში სკოლა უნდა უწყობდეს ხელს**. ამისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მშობლების ან მზრუნველების ჩართვა სკოლასთან დაკავშირებულ პროცესებში. შვილის სწავლების პროცესში მშობლის ჩართულობა და სკოლასთან თანამშრომლობა არა მხოლოდ მშობლების, არამედ **სკოლების მონდომებასაც მოითხოვს**. სკოლებში, რომლებშიც მხარდაჭერილია მშობელთა ჩართულობა, უფრო მეტი მშობელი ინტერესდება სასწავლო პროცესით. მშობლის მაღალ დონეზე ჩართულობამ შეიძლება გააუმჯობესოს როგორც მოსწავლის მიღწევა, ისე მისი დამოკიდებულება სკოლის მიმართ (Darling, Westberg, 2004; Dearing, Kreiderr, & Weiss, 2008; Taylor, Pearson, Clark, & Walpole, 2000).

სკოლის აქცენტი სასწავლო გეგმისა და მისაღწევი მიზნების განხორციელებაზე და სამუშაო პირობები.

→ 4

თვალსაზრისი

სკოლის ეფექტურობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან კომპონენტს „გასაგები, კარგი“ სასწავლო გეგმა წარმოადგენს, რომლის ინტერპრეტირებისა და დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანია მასწავლებელთა კოოპერაცია. წარმატებული სკოლის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ იქ მომუშავე ყველა ადამიანს უნდა ესმოდეს და ყველა მათგანი უნდა იზიარებდეს სკოლის მიზნებსა და სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო გეგმის მიზნებისა და მოლოდინების საშუალებით გამოხატული ნათელი ხედვა მასწავლებელთა ქმედების სახელმძღვანელო პრინციპს უნდა წარმოადგენდეს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებას (Cotton, 2000; Levine & Lezotte, 1990).

ბავშვის კითხვისადმი პოზიტიური დამოკიდებულება

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი სწორედ კითხვისადმი მოსწავლეთა პოზიტიურ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. დამატებით მოვიყვანთ რამდენიმე კვლევით მონაცემს, რომლებიც მიუთითებს **ბავშვის კითხვისადმი პოზიტიური დამოკიდებულების მნიშვნელობაზე.**

კითხვის მიმართ დამოკიდებულება შეძენილი მახასიათებელია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ჩართულობის ხარისხს კითხვის აქტივობებში. მასზე გავლენას საზოგადოების, ოჯახისა და სკოლის ფაქტორები ახდენს (Baker, 2003; Cole, 2002; McKenna et al., 1995; Miller, 2003; Willis, 2002). ბავშვები, რომელთაც უყვართ კითხვა და რომლებიც მიიჩნევენ, რომ კარგი მკითხველები არიან, უფრო ხშირად კითხულობენ და კითხვაში უფრო მაღალი მიღწევის დონით გამოირჩევიან, ვიდრე მათი დანარჩენი თანატოლები (Guthrie, Hoa, Wigfield, Tonks, Humenick, & Littles, 2006; Wigfield & Guthrie, 1997; Wang & Guthrie, 2004). მკვლევრების მიერ აღიარებულია, რომ პოზიტიურ დამოკიდებულებას კითხვის მიმართ მივყავართ კითხვასთან დაკავშირებულ პოზიტიურ გამოცდილებამდე, რის შედეგსაც მაღალი აკადემიური მოსწრება წარმოადგენს (Partin, Gillespie Hendrix, 2002).

აქ ის ფაქტორები განვიხილეთ, რომლებიც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე კვლევაში ჩართული სხვა ფაქტორები. სწორედ ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების პროცესში მათზე ყურადღების გამახვილება.

რეკომენდაციები

PIRLS-ის 2011 წლის კვლევის შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებიც მოსწავლეთა წიგნიერებისა და, ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესის ხელშესაწყობად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიზანმიმართული აქტივობების დაგეგმვასა და, ასევე, საზოგადოების მხარდაჭერას საჭიროებს.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა **განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობაა** (თანაბარი განათლების ცნება არ გულისხმობს ყველა ბავშვის მიერ ერთი და იმავე განათლების მიღებას, არამედ ეს სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფაა – თითოეულმა მოსწავლემ განათლება საკუთარი უნარების მაქსიმალური შესაბამისობით უნდა მიიღოს). კერძოდ, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემას გამოკვეთს სოფლისა და ქალაქის მოსწავლეთა მიღწევებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა – ქალაქის სკოლათა მოსწავლეები არსებითად უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე სოფლის სკოლების მოსწავლეები.

განათლების არათანაბარი მიწოდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი სოფლის სკოლების სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტია. თუ პირობითად ამ ფაქტორს გამოვრიცხავთ (სოციო-ეკონომიკური ფაქტორების რეგულირება პირდაპირ არ არის განათლების პოლიტიკის საკითხი), სოფლისა და ქალაქის სკოლებს შორის სოფლის სკოლებში მოსწავლეთა დაბალი მიღწევები **საგანმანათლებლო რესურსების არათანაბარ განაწილებით შეიძლება აიხსნას.**

სათანადო რესურსებით სკოლების მომარაგება სახელმწიფოს მიერ რეგულირდება, რესურსების ხარისხი ან ოდენობა არ უნდა იყოს დამოკიდებული სკოლის სოციალურ-ეკონომიკურ ფონსა ან სხვა რაიმე პირობაზე – ყველა სკოლა მას თანაბრად უნდა იღებდეს. ამ რესურსებში მოიაზრება: სერტიფიცირებული, უმაღლესი პედაგოგიური განათლების ან საუნივერსიტეტო ხარისხის მქონე მასწავლებლების განაწილება, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო რესურსისა და სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა; რაც ჩვენს სოფლებში ხშირად პრობლემას წარმოადგენს.

საგანმანათლებლო შესაძლებლობების თანაბრად მიწოდების პირობებში მოსწავლის მიღწევები არ არის დამოკიდებული მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ოჯახზე ან სკოლის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. ასეთ სისტემაში აკადემიურ მიღწევებსა და ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს შორის კავშირი სუსტია და ყველა მოსწავლე სარგებლობს თანაბარი შანსებით, მიიღოს საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისი მაქსიმალური განათლება. საგანმანათლებლო რესურსების განაწილება ქალაქისა და სოფლის სკოლებში არ უნდა ზღუდავდეს მოსწავლის სწავლის უფლებას, რომელიც მას ქვეყნის კონსტიტუციით, ასევე, საერთაშორისო კანონებითა და საერთაშორისო კონვენციებით აქვს გარანტირებული. **რესურსების ხარისხი ან რაოდენობა არ უნდა იყოს დამოკიდებული სკოლის სოციალურ-ეკონომიკურ ფონსა ან სხვა რაიმე პირობაზე – ყველა სკოლა მას თანაბრად უნდა იღებდეს.** განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: სოფლის სკოლებს და სკოლის ბიბლიოთეკებს, სოფლის სკოლების პედაგოგთა კვალიფიკაციის საკითხსა და სოფლისთვის სრულყოფილი სასკოლო რესურსების შექმნას.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ საქართველოს გარდა, სხვა ქვეყნებშიც შეიმჩნევა მსგავსი ტენდენცია. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად, PIZA 2009 აჩვენებს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სოფლისა და ქალაქის მოსწავლეთა მიღწევებს შორის განსხვავება არ არის. ამის საუკეთესო მაგალითია ფინეთი, რომლის განათლების სისტემის ძირითადი ორიენტირი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობაა.

განათლების თანაბარმა ხელმისაწვდომობამ გრძელვადიან პერსპექტივაში სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტზეც უნდა მოახდინოს გავლენა, ამიტომაც აუცილებელია, **სოფლის სკოლების მხარდაჭერა**. სოფლის მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გავხადოთ ყველა შესაძლო საგანმანათლებლო რესურსი, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განათლებას. **სოფლის სკოლების მხარდამჭერი პროექტი** მოსწავლეთა წიგნიერების ხელშესაწყობად მიზანმიმართულ აქტივობებს უნდა მოიცავდეს. აუცილებელია:

– **პროფესიული ზრდის ხელშეწყობა**. სოფლის მასწავლებლებს საშუალება უნდა მიეცეთ, გაეცნონ ტექსტის განხილვისა და გააზრების იმ მეთოდებს, რომლებსაც თანამედროვე სასწავლო პრაქტიკაში იყენებენ; კითხვის სწავლების მეთოდური სახელმძღვანელოებით პედაგოგების უზრუნველყოფა;

– შესაბამისი სამოტივაციო მხარდაჭერის ფონზე სერტიფიცირებული, უმაღლესი პედაგოგიური განათლების ან საუნივერსიტეტო ხარისხის მქონე მასწავლებლების განაწილება სოფლის სკოლებში, ან მათგან შემდგარი მობილური ჯგუფების შექმნა სოფლის სკოლების მხარდასაჭერად;

– განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის; კვლევა აჩვენებს, რომ ოჯახში წიგნების, მით უმეტეს, საბავშვო წიგნების რაოდენობა სოფლებში მწირია. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბიბლიოთეკების სათანადო კლასგარეშე საკითხავი წიგნებით მომარაგებას და სოფლის სკოლაში საბიბლიოთეკო ცხოვრების მოწესრიგებას, უნდა შეიქმნას და ამოქმედდეს საკლასო ბიბლიოთეკა დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის (საკლასო ბიბლიოთეკა ეფექტურია იმდენად, რამდენადაც წიგნების შერჩევისას წინასწარვე გათალისწინებულია ამა თუ იმ კლასის მოსწავლის ასაკობრივი შესაძლებლობები როგორც ეროვნული სასწავლო მწერლობის, ისე მსოფლიო მემკვიდრეობის ფარგლებში). დღეისათვის წიგნის ბაზარი კარგად არის მომარაგებული ჩინებულად ილუსტრირებული საბავშვო წიგნებით, მაგრამ ეს ძვირადღირებული პროდუქცია, სამწუხაროდ, არა თუ სოფელში, არამედ ქალაქშიც ბევრი ოჯახისათვის მიუწვდომელია. ამდენად, დღეს სოფლის ***სასკოლო ბიბლიოთეკების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.***

განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემას გამოკვეთს კერძო და სახელმწიფო სკოლების მოსწავლეთა მიღწევებში არსებული სხვაობები. **საჯარო სკოლები** უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო რესურსით, რათა შემცირდეს ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახების მწირი საგანმანათლებლო რესურსის გავლენა მოსწავლეთა მიღწევებზე. მათ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი სწორედ სკოლას ენიჭება. ვიდრე ქვეყანაში კეთილდღეობის მაჩვენებელი საზოგადოდ ამაღლდება, უფრო მოკლე გზაა სახელმწიფოს მიერ საჯარო სკოლების მხარდაჭერა ამ კონტექსტში.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ დამატებითი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა (მაგალითად, კლასის მოსწავლეთა რაოდენობის რეგულირების ხარჯები, სასკოლო რესურსების გამრავალფეროვნება და სხვა) ვერ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ სკოლა ამ რესურსს ეფექტურად და მიზნობრივად გამოიყენებს. შედეგების ოპტიმიზაციისთვის განათლების მკვლევრები **სკოლებისთვის შედეგებზე დამყარებული ანგარიშვალდებულების სისტემის დანერგვას გვთავაზობენ**. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მნიშვნელოვანია **სკოლის ანგარიშვალდებულების სისტემის დანერგვის სინქრონიზაცია სკოლის განვითარების მხარდამჭერ ინტერვენციებთან**. სისტემა, რომელიც შედეგების გასაზრდელად საკმარის მხარდაჭერას არ იღებს, ანგარიშვალდებულების მექანიზმებისთვის მზად ვერ იქნება (Sondergaard & Murthi, 2012).

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მცირე ზომის კლასის დადებითი გავლენა უფრო მეტად აისახება დაწყებით კლასებში ბავშვებთან, რომლებიც **დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან** არიან (Finn, Gerber, 2005). კვლევის ამ შედეგის გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისათვის. სახელმწიფომ უნდა გამოყოს სახსრები, რათა სოციო-ეკონომიკური და სხვა კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლას მიეცეს მისი საჭიროების მიხედვით კლასის ზომის განსაზღვრის თავისუფლება.

ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში, ბევრი სხვა სისტემის მსგავსად, სკოლებს შორის რესურსების განაწილების პრობლემა დგას. ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსების ახლანდელი მოდელი არ ითვალისწინებს სკოლის კონტექსტს. სკოლა, რომელსაც უფრო მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის და ეთნიკურად ქართველ სტუდენტებთან უწევს მუშაობა და სკოლა, რომელსაც ეთნიკურად მრავალფეროვან და/ან ხელმოკლე ოჯახებიდან ბავშვებთან მუშაობს, ერთი და იმავე დაფინანსებას იღებს სახელმწიფოსგან მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იმავე შედეგზე გასვლისთვის განსხვავებული სირთულეების გადალახვა უწევთ. მოსწავლეების შემადგენლობა დაფინანსების ფორმულაში ისე უნდა აისახოს, რომ მოწყვლად ჯგუფებთან მომუშავე სკოლებს კლასის ზომის შემცირების საშუალება მისცეს.

სკოლაში არაძალადობრივი ატმოსფერო, *მოსწავლეზე ცენტრირებული სასწავლო პრაქტიკა*, მოსწავლეთა წარმატებაზე პასუხისმგებლობის გაცნობიერება სასკოლო საზოგადოების თითოეული ნევრის მიერ, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა ჩვენს რეალობაში. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია სკოლაში ისეთი **პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა,** რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ უსაფრთხოებას, **მოსწავლის მიმართ პოზიტიური მოლოდინის** გამჟღავნებასა და მხარდაჭერას. **პრაქტიკული რეკომენდაციები და დირექტორებისა და პედაგოგების პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებში ამ საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ხელს შეუწყობს მათ მიერ ამ ფაქტორების მნიშვნელობის გაცნობიერებას, და შესაბამისად, მოსწავლეთა მიღწევების ზრდას.**

სკოლის დირექტორებმა და პედაგოგებმა უნდა გააცნობიერონ, რომ შედეგის მიღწევა **ურთიერთთანამშრომლობით, ემოციური და სოციალური მხარდაჭერით შეიძლება. სკოლებში უნდა დაინერგოს თანამშრომლობის პრაქტიკა,** მხარდაჭერილი უნდა იყოს **მშობელთა ჩართულობა,** უფრო ეფექტიანად შეიძლება სამეურვეო საბჭოების გამოყენებაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პედაგოგის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე. პედაგოგის **ხელფასების ზრდა, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხარდაჭერა არსებითი და მიზანმიმართული უნდა იყოს.**

აუცილებელია **სკოლამდელი აღზრდის სისტემის რეფორმირება**, სახელმწიფომ უნდა ჩადოს ინვესტიცია სკოლამდელ განათლებაში, რადგან სკოლამდელი განათლება ბავშვებს ეხმარება არახელსაყრელი პირობებისა და თაობიდან თაობაზე გარდამავალი სიღარიბის დაძლევასა და მიღწევის დონის გაუმჯობესებაში (Economist Intelligence Unit, 2012).

სხვა რა მნიშვნელოვანი აქტივობების ან ცვლილებების აუცილებლობას ვხედავთ ამ ეტაპზე?

➪ საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ არის კითხვის სწავლების სპეციალური სასწავლო პროგრამა. კითხვის სწავლების ინსტრუქციები, ძირითადად, ინტეგრირებულია მშობლიური ენის სასწავლო გეგმასთან. კითხვაში მაღალი მიღწევების მქონე ზოგ ქვეყანაში არსებობს ***კითხვის სპეციალური სასწავლო გეგმა***. ეს გამოცდილება შეიძლება ეფექტურად დაინერგოს საქართველოშიც.

➪ დაწყებითი კლასების მოქმედი სახელმძღვანელოების შეფასება და სკოლების ისეთი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, რომლებშიც გათვალიწინებულია კითხვის სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მიდგომა და პრაქტიკა. სახელმძღვანელოებში და, ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მრავალფეროვანი და სხვადასხვა სტრუქტურისა და ხასიათის ტექსტების კითხვასა და გააზრებას. სასურველია ამ მიმართულებით, როგორც სასწავლო გეგმის, ისე დაწყებითი საფეხურის სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოების დაბალანსება. მოსწავლე ერთნაირი წარმატებით უნდა კითხულობდეს და იაზრებდეს მხატვრულსა და საინფორმაციო ტექსტებს.

➪ აუცილებელია დაწყებითი კლასების მომავალი მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების რეფორმირება, ასევე მოქმედი პედაგოგების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა. **აუცილებელია იმ უმაღლესი სასწავლებლებისა და პროგრამების მხარდაჭერა. რომლებიც დაწყებითი კლასის მასწავლებლებს ამზადებენ.**

➪ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სასკოლო და საკლასო ბიბლიოთეკებს. სასურველია, **საკლასო ბიბლიოთეკების** მოწყობა დაწყებით კლასებში. კლასში უნდა იყოს კარგად ილუსტრირებული, მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული საბავშვო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რაც კითხვის ინტერესს გაუღვივებს მოსწავლეებს. აუცილებელია საბავშვო ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ხელშეწყობა.

* * *

ჩვენ გაგაცანით რეკომედაციები, რომლებიც PIRLS 2011 კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა იმ ჯგუფმა, რომელიც ორგანიზებას უწევდა საერთაშორისო შეფასებას საქართველოში. ეს ჩვენი მოკრძალებული წვლილია იმ სფეროში, რომლის დიდი გულშემატკივრებიც ვართ.

რადგან მოზარდისათვის სამყაროს შეცნობის ძირითადი საშუალება სწავლაა, სწავლის საფუძველი კი – კითხვის უნარია, განათლების სისტემამ და საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს მოსწავლეთა წიგნიერების ხელშესაწყობად. ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, ეფექტურად გამოვიყენოთ საერთაშორისო კვლევის შედეგები და ხელი შევუწყოთ მოზარდთა სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებას, რაშიც გადამწყვეტი როლი კითხვასა და კითხვისადმი ინტერესს, ზოგადად, წიგნიერებას ენიჭება.

ინფორმაცია

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2013

„წელს აბიტურიენტების რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა და 27 ივნისს მათთვის ყველაზე ცხელი ზაფხული იწყება“, – განაცხადა გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. მისი განცხადებით, 27 ივნისს სააბიტურიენტო გამოცდების ციებ-ცხელება იწყება. გასულ წლებთან შედარებით, წელს, აბიტურიენტების რეკორდული რაოდენობა – 42 ათასი დაფიქსირდა, რაც, მისი აზრით, სახელმწიფოს მიერ უფასო მიმართულებების გამოცხადებას უკავშირდება. პირველი გამოცდა სახელმწიფო ენაში ჩატარდება.

წელს თბილისს ერთი საგამოცდო ცენტრი დაემატება. საქართველოს მასშტაბით, სულ 18 საგამოცდო ცენტრია, აქედან 2 – ქუთაისში და 6 – თბილისში, დანარჩენი – საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. აბიტურიენტები გამოცდებს 17 ივლისს დაასრულებენ.

აბიტურიენტები მიმართულებების (ფაკულტეტების) შეცვლას საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე შეძლებენ. შესაძლებელია 10 აგვისტომდე პირველადი შედეგები გახდეს ცნობილი, რადგან გამოცდები და ტესტების გასწორების რეჟიმი ერთმანეთის პარალელურად მოხდება. 10 აგვისტოდან აპელაციების მიღება იქნება შესაძლებელი. „აპელაციის შემდეგ შესწორებების შეტანა მიმართულებების შეცვლაში აღარ მოხდება, ხოლო საბოლოო შედეგები 25 აგვისტოსთვის დაიდება“, – განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

საქართველოს გუნდი საერთაშორისო კონკურსზე მიემგზავრება

კონკურსის – WorldSkills Georgia გამარჯვებული, საქართველოს პროფესიული კოლეჯების სტუდენტები, მიმდინარე წლის 2-7 ივლისს, გერმანიის ქალაქ ლაიპციგში დაგეგმილ პროფესიული უნარების საერთაშორისო კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას. გამგზავრების წინ, კონკურსანტები პირველ კლასიკურ გიმნაზიაში გამართულ ღონისძიებას დაესწრნენ, სახელწოდებით „მე მიყვარს ჩემი პროფესია“.

WorldSkills Georgia მასშტაბური პროექტია, რომლის ფარგლებშიც, ყოველწლიურად, იმართება კონკურსები პროფესიულ უნარებში, რაც პროფესიებში მსოფლიო დონის სტანდარტების დამკვიდრებას და წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენას ემსახურება. აღნიშნული კონკურსის მნიშვნელობასა და სამომავლო გეგმებზე გამარჯვებული გუნდის წევრებმაც ისაუბრეს.

პროექტის ფარგლებში, ასევე, მოეწყო საქართველოს 18 პროფესიული სასწავლებლის პროდუქციის გამოფენა. ექსპოზიციაზე მაქსიმალურად იყო წარმოდგენილი პროდუქცია, რომლის შექმნასა და მომზადებასაც სტუდენტები სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებში ეუფლებიან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ქეთევან ნატრიაშვილმა** პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მნიშვნელობაზე ისაუბრა და მაღალი რანგის საერთაშორისო კონკურსში პირველად მონაწილე ქართულ გუნდს წარმატებები უსურვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას ესწრებოდნენ: ცენტრის ხელმძღვანელი **ელენე ჯიბლაძე**, ასევე სამინისტროს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის წარმომადგენლები და საჯარო სკოლების მოსწავლეები.

იურისტის კონსულტაცია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, რომელმაც აიღო სერტიფიკატი დაწყებითის ქართულში და რომელსაც აქვს 15-საათიანი დატვირთვა მე-7 კლასიდან ზევით, ეკუთვნის თუ არა დანამატი?

იმისათვის, რომ პედაგოგმა (ამ შემთხვევაში – დირექტორმა) მიიღოს ყოველთვიური 75-ლარიანი დანამატი, საჭიროა, რომ იგი ასწავლიდეს სწორედ იმ საგანს, რაშიც სერტიფიცირებულია. ამ შემთხვევაში, დირექტორი სერტიფიცირებულია დაწყებითის ქართულში, თუმცა მისი დატვირთვა მოიცავს არა შესაბამის საგანს, შესაბამისად ვერ მიიღებს დანამატს.

მაქვს უმაღლესი განათლება. 7 წელია ვმუშაობ სკოლაში ხელოვნების პედაგოგად (არა სპეციალობით), გავლილი მაქვს გადამზადების კურსები 2006 წელს, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. როგორ უნდა დაანგარიშდეს ჩემი ხელფასი – როგორც ბაკალავრის თუ როგორც მაგისტრის?

პედაგოგის ხელფასის გამოანგარიშებისას, მაგისტრის ხარისხს უთანაბრდება 5-წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი, 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება და 5-წლიანი დაუსწრებელი პედაგოგიური საგანმანათლებლო პროგრამის შედეგად გაცემული დიპლომი.

ჩავაბარე სასერტიფიკაციო გამოცდა „მათემატიკა I-VI კლასები“, ვასწავლი V-VI-X-XI კლასებში. მაქვს სრული დატვირთვა. ამ პიროგებით არ მეძლევა სერტიფიცირების დანამატი. მაქვს თუ არა უფლება, მოვითხოვო I-VI კლასებში საათები და ვალდებულია თუ არა დირექცია, დააკმაყოფილოს ჩემი მოთხოვნა, მაშინ როცა სკოლას დაწყებით საფეხურზე არ ჰყავს სერტიფიცირებული პედაგოგი?

ასეთ შემთხვევაში, სკოლის დირექცია ვალდებულია დაკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა და მოგცეთ საათები იმ საგანში, რაშიც ბრძანდებით სერტიფიცირებული, რის შემდეგაც მოიპოვებთ უფლებას, მიიღოთ 75-ლარიანი დანამატი.

2012 წლის 5-18 აპრილის „ახალ განათლებაში“ ვკითხულობთ, რომ არსებობს შეღავათები საშემოსავლო გადასახადზე იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ მაღალმთიან რეგიონში და ჰყავთ კმაყოფაზე 18 წლამდე ასაკის შვილი ან შვილები (საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 პუნქტი). მაგრამ ეს კანონი არ ვრცელდება იმ პედაგოგებზე, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი ან შვილები, მუშაობენ მაღალმთიან რეგიონის სკოლაში, მაგრამ იქ არ ცხოვრობენ.

პირადად მე, 1991 წლიდან, განაწილებით ვმუშაობ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სამების საჯარო სკოლაში, რომელსაც მაღალმთიანი სოფლის სტატუსი აქვს მინიჭებული, ვცხოვრობ იმავე მუნიციპალიტეტის სოფელ კონდიდში. კვირაში სამჯერ სკოლაში დავდივარ ფეხით 12კმ (6კმ – აქეთ, 6კმ – იქეთ). ჩემი კვირეული დატვირთვა არის 9 საათი. მცირე ხელფასის გამო ტრანსპორტის ფული აღარ მრჩება.

ახლა პარლამენტში საგადასახდო კოდექსის ცვლილებებზეა ლაპარაკი. იქნებ პარლამენტამდე მიაწვდინოთ ხმა, რათა გაითვალისწინონ ეს შენიშვნა – საშემოსავლო გადასახადზე შეღავათები გავრცელდეს იმ პედაგოგებზეც, რომლებსაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, მუშაობენ მაღალმთიან რეგიონში, მაგრამ იქ არ ცხოვრობენ.

პატივისცემით, მაგული ჯინჭარაძე

მოგახსენებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ შეღავათს ნამდვილად ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თუმცა არა 168-ე მუხლი, როგორც თქვენ მიუთითებთ, არამედ 82-ე მუხლის მეორე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ერთ- ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით.

როგორც ხედავთ, კანონის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ თქვენ ცხოვრობდეთ მაღალმთიან რეგიონში, რასაც ამ შემთხვევაში არ აკმაყოფილებთ.

გეთანხმებით, რომ თქვენ მიერ დასმული საკითხი საჭიროებს რეაგირებას და დროულ გადაჭრას, რაც მიღებულ იქნება მხედველობაში.

ვმუშაობ ერთ-ერთ საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მცირე დატვირთვაზე. ამავე დროს, აღნიშნული საათები შეთავსებული აქვთ დირექტორის მოადგილეს და ბიბლიოთეკარს. გთხოვთ გაგვიმარტოთ, სერტიფიცირების შემთხვევაში, მაქვს თუ არა უფლება, მომდევნო სასწავლო წელს ავიღო სრული (15 საათი) დატვირთვა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თუ დირექტორის მოადგილე და ბიბლიოთეკარი დარჩებიან დატვირთვის გარეშე, რადგან სკოლაში სხვა საათები არ არის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სერტიფიცირებულ პედაგოგს მიეცემა სერტიფიცირებული პედაგოგისთვის გათვალისწინებული დანამატი იმ შემთხვევაშიც, თუ სკოლაში არსებული შესაბამისი საგაკვეთილო საათების სერტიფიცირებული პედაგოგისათვის სრულ ოდენობამდე განაწილების შედეგად დარჩა სრულ განაკვეთზე ნაკლები საგაკვეთილო საათი.

გამომდინარე აქედან, სწორედ სერტიფიცირებულ მასწავლებლებს ენიჭებათ უპირატესობა, საგაკვეთილო საათების განაწილების დროს, რათა მათ სრულად შეევსოთ დატვირთვა, რაც აუცილებელია სერტიფიცირებული პედაგოგისთვის გათვალისწინებული დანამატის მისაღებად.

შესაბამისად, სერტიფიცირების შემთხვევაში, თქვენ უფლება გექნებათ აიღოთ 15-საათანი დატვირთვა ქართულ ენასა და ლიტერატურაში და მიიღოთ სასერტიფიკაციო დანამატი.

რამდენიმე საგნობრივ ჯგუფში გვყავს 18 საათზე ზევით დატვირთვის მქონე პედაგოგები. სკოლის დირექციას აქვს თუ არა უფლება, გამონახოს სპეციალისტები და დაასაქმოს 4-დან 8 საათის ფარგლებში სკოლაში. განვმარტავ, რომ სკოლის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე გვყავს ბევრი სპეციალისტი, რომლებიც უმუშევრები არიან.

სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლის დირექციას უფლება აქვს განახორციელოს ახალი პედაგოგების დასაქმება.

შეუძლიათ თუ არა მომდევნო სასწავლო წელს, V-VI კლასებში, ქართული ენისა და მათემატიკის სერტიფიცირებულ პედაგოგებს, დაიტვირთონ აღნიშნული საათებით, როდესაც ამ საგანს ასწავლის არასერტიფიცირებული მასწავლებელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სერტიფიცირებულ პედაგოგს მიეცემა სერტიფიცირებული პედაგოგისთვის გათვალისწინებული დანამატი იმ შემთხვევაშიც, თუ სკოლაში არსებული შესაბამისი საგაკვეთილო საათების სერტიფიცირებული პედაგოგისათვის სრულ ოდენობამდე განაწილების შედეგად დარჩა სრულ განაკვეთზე ნაკლები საგაკვეთილო საათი.

გამომდინარე აქედან, სწორედ სერტიფიცირებულ მასწავლებლებს ენიჭებათ უპირატესობა, საგაკვეთილო საათების განაწილების დროს, რათა მათ სრულად შეევსოთ დატვირთვა, რაც აუცილებელია სერტიფიცირებული პედაგოგისთვის გათვალისწინებული დანამატის მისაღებად.

თუმცა, იმავე ბრძანების მე-9 მუხლის თანახმად, 2013 წლის1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე, 75-ლარიანი დანამატი ასევე მიეცემა სერტიფიცირებულ პედაგოგს (გარდა დაწყებითი საფეხურის პედაგოგისა), რომლის სამუშაო დატვირთვა კვირაში შეადგენს 15-17 საათს.

გამომდინარე აქედან, სასურველია, რომ სკოლის მასწავლებლებმა გამოიჩინონ კოლეგიალობა და სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ, რათა პედაგოგები არ დარჩნენ საათების გარეშე.

თბილისის ზოგიერთ საჯარო სკოლაში, უქმე დღეებთან დაკავშირებით, არ მოხდა 19 საათის ზემოთ მუშაობისთვის გათვალისწინებული დანამატის ანაზღაურება. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რამდენად სწორია აღნიშნული მოქმედება სკოლის დირექტორების მხრიდან?

მოგახსენებთ, რომ უქმე დღეების არანაზღაურება სკოლის დირექტორების მხრიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთ საჯარო სკოლაში, ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისადმი გაგზავნილ წერილში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობა, კვირის განმავლობაში უქმე დღის არსებობის შემთხვევაში, არ კრძალავს №576 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატის გაცემის შესაძლებლობას.

გრიგოლ ბაკურაძე
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

სასკოლო აქტივობა

ზურგის ქარი, მეექვსეკლასელებო!

13 ივნისს „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ ადმინისტრაციამ საოცრად ამაღლებულ და ემოციურად დამუხტულ გამოსაშვებ საღამოზე მიიწვია მოსწავლეები, პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები!

საღამო მიყავდა ცნობილ წამყვანს **ზაზა ალექსიძეს**. სკოლის დირექტორი, ბატონი **აჰმეთ ოზი** მიესალმა და 2012-2013 სასწავლო წლის დასრულება მიულოცა „სხიველებს“, მათ მშობლებს, პედაგოგებსა და მოწვეულ სტუმრებს – ჩსდ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ **მუსტაფა ემრე ჩაბუქს**, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ბატონ **ზაზა ბროლაძეს**.

შესრულდა სკოლის ჰიმნი.

V-VI კლასების სასწავლო ნაწილის გამგემ, ქალბატონმა **ნანა სვანიძემ** 2012-2013 სასწავლო წლის მიღწევებსა და შედეგებზე ისაუბრა. მან ახალ-ახალი წარმატებები უსურვა ჩვენს სკოლაში დაფრთიანებულ მეექვსეკლასელებს, რომელთა უმრავლესობა დემირელის სახელობის კოლეჯში გააგრძელებს სწავლას, ნაწილი კი დედაქალაქის სხვადასხვა სკოლებში წაიღებს „სხივში“ გატარებული წლების სიყვარულს!

გულისამაჩუყებელი სიტყვებით გამოხატეს თავიანთი მადლიერება და პატივისცემა საყვარელი სკოლისა და მასწავლებლებისადმი **მარიამ გიორგობიანმა, გიორგი ფაჩუაშვილმა, ზაზა მურვანიძემ, რუსუდან სტურუამ** და **ნიკა ბროლაძემ**. დაიხურა საოცრად ლამაზი წიგნი ბავშვობის მოგონებებით აჭრელებული. ამ წიგნში, იის სურნელთან ერთად, ფერადოვანი ზღაპრები და ანცი გოგო-ბიჭების მხიარული თავგადასავლებია. სათუთად და ფრთხილად შეინახავენ წიგნს, რომელსაც „დაწყებითი საფეხური“ ჰქვია.

თეკლა გიორგობიანისა და **ლაშა იობაშვილის** ცეკვა „ქართული“, **მარიამ გიორგობიანისა** და **ნიკა სესიტაშვილის** ჩონგურზე ამღერებული დუეტი, **ნინო ლასხიშვილისა** და **თეკლა ცხოვრებაშვილის** მიერ აკვნესებული ვიოლინოს ნაზი სიმები, „ანბანელას“ ნორჩი მოცეკვავეების „იავნანა“ ნამდვილად წარმატებული „სხივის“ სახე გახლდათ!

ულამაზესად მორთულ ეზოში, „ბუშტების ცვენაში“, ფერადოვან მაგიდებთან „ბარბიქიუ“ გაიმართა. ყველა კლასს თავისი მაგიდა ჰქონდა.

მოწვეული იყო ანსამბლი „გორდელა“, რომელმაც ხალხური სიმღერებით საქართველოს კუთხეებში ამოგზაურა მსმენელი.

ცხადია, დაისი და მზის ჩასვლა არ უხდება „სხივის“ სიხარულს, ამიტომ ფერადი ფრანებითა და ფეიერვერკებით განათდა სკოლის ეზო და სკოლის ზეცა! თითქოს საგანგებოდ, საქართველოს დროშის ანთებული ფრანი პირველი გაბრწყინდა და აიჭრა ზეცაში!

ეს იყო საოცრად ამაღელვებელი წუთები, ამ სასწავლო წლის დამაგვირგვინებელი! მაცხოვრის ამაღლების გრანდიოზული აღნიშვნა!

ბოლოს, სკოლის გუნდმა, პედაგოგ **ნინო გულიაშვილის** ხელმძღვანელობით, შეასრულა „რა ღამეა“. სიმღერის ფონზე ცეკვავდა დიდ-პატარა.

საღამოს ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, I-IV კლასების სასწავლო ნაწილის გამგე **ეკა ლომთათიძე** სიამოვნებით იღებდა მადლობებს აღტაცებული მეექვსეკლასელებისა და მათი მშობლებისაგან. ეს იყო სიმღერის, ქორეოგრაფიისა და სილამაზის დღესასწაული, გუნდური მუშაობის პრეზენტაცია.

სიხარულისა და დაშორების სინანულის ცრემლი ერთდროულად უკიაფებდათ თვალებში გამოსაშვები კლასების დამრიგებლებს – **ოლია იერემენკოს, ნინო ჩიჩუას, ნანა აბაშიძეს, შორენა ჯავახიშვილს**. ისინი გულით ლოცავდნენ თავიანთ მოსწავლეებს: „ზურგის ქარი, მეექვსეკლასელებო!“

ქეთევან ჭითავა
სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ პედაგოგი

ვიცხოვროთ ჯანსაღი წესით

სკოლა-ლიცეუმის „ცოდნა – ნათელა მურადაშვილი“ დირექტორი – ქალბატონი **ნათელა მურადაშვილი** პედაგოგებთან ერთად ცდილობს, სწავლება ხარისხზე ორიენტირებული იყოს, ეროვნულ ტრადიციებსა და ღირებულებებზე დაყრდნობით აღზარდოს საფუძვლიანი ცოდნით, პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი მოსწავლეები.

ამ მიზნის მისაღწევად სკოლა, ხარისხიან სწავლებასთან ერთად, არაერთ სასიკეთო და საინტერესო ღონისძიებასაც იყენებს. ის დღე, როცა ჩატარდა შემეცნებითი კონფერენცია „დედამიწის მაგნიტური ველი და მაგნიტური ანომალიები“, არასოდეს დაავიწყდებათ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა თუ მშობლებს.

სრულიად განსხვავებულმა, ორიგინალური ფორმით ჩატარებულმა საღამომ, რომლის ორგანიზატორი იყო მათემატიკისა და ფიზიკის პედაგოგი **მაია აბდუშელიშვილი**, საინტერესო სამყაროში ამოგზაურა მაყურებელი.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ IX-XI კლასების მოსწავლეები, რომლებიც დაყოფილი იყვნენ თემატურ ჯგუფებად – „ფიზიკოსების“ ჯგუფს წარმოადგენდნენ: **გიორგი სიჭინავა, გიორგი მეცხოვრიშვილი, თამთა თოლორდავა, გივი კობიაშვილი**; „გეოგრაფების“ – **დავით ჩინჩალაძე, მარი ბიწაძე, დიანა გვარამია, შოთა მახათაძე, გიორგი გაბრიაძე**; „ბიოლოგების“ – **ნანა ბაბაევი, გოჩა ადუაშვილი, ზაურ წერეთელი**; „ექიმების“ – **თიკო გოგოლაძე და მიშიკო ლუცუბიძე.**

თითოეულ ჯგუფს „ჟურნალისტი“ **თეონა ბერუაშვილი** უსვამდა საინტერესო შეკითხვებს, რომლებსაც საფუძვლიან, არგუმენტირებულ პასუხებს სცემდნენ ბავშვები. აქტიურად მუშაობდა „ოპერატორი“ **ჯიმი სიმონიშვილი.**

„ექიმები“ საინტერესო კომენტარს აკეთებდნენ აქტუალური საკითხების ირგვლივ და „რეცეპტებს“ უწერდნენ დამსწრე საზოგადოებას ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.

ამ საღამოს ბავშვებმა და პედაგოგმა მაია აბდუშელიშვილმა კიდევ ერთხელ დაარღვიეს მითი იმის შესახებ, რომ საინტერესო ღონისძიებების ჩატარება მხოლოდ ჰუმანიტარული საგნების პრეროგატივაა...

ქალბატონ მაიას უღრმესი მადლობა გადაუხადეს დირექციის წევრებმა, მშობლებმა, მოსწავლეებმა. მან კი, მეცნიერ რომან დანელიას სიტყვებით დამოძღვრა მოსწავლეები: *„მეცნიერების სხვადასხვა დარგის ფართო გზა სასკოლო ანბანური დებულებებიდან იწყება. ამ ულამაზეს და ურთულეს გზაზე წარმატებაც გელით და იმედგაცრუებაც. ნუ შეშინდებით, დანდობილად დაადექით მის გზას! ნაბიჯ-ნაბიჯ, საფუძვლიანად დაეუფლეთ მეცნიერებების საფუძვლებს და განივითარეთ აბსტრაქტული ლოგიკური აზროვნება!“*

ამ ღონისძიებით მოსწავლეები დაემშვიდობნენ სასწავლო წელს!

ლია კბილაშვილი
დირექტორის მოადგილე

სასკოლო აქტივობა

გზა სინათლისაკენ...

სასწავლო წლის დასასრული მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა N190 საჯარო სკოლისათვის (დირექტორი – **მაია გიორგაძე**). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებითი სწავლების საფეხურზე გამოჩენილი აქტივობები, რადგან ის საფუძველს უქმნის სწავლების შემდგომ საფეხურებს, ამყარებს და აძლიერებს სწავლის მოტივაციას. სწორედ ამ აქცენტებით იყო გამორჩეული **მზია აფციაურის** „გაზაფხულის გაცილება“, **ხათუნა ჟოჟიკაშვილის** მიუზიკლი „ჩხიკვთა ქორწილი“, **ლალი ბოლქვაძის** „გზა სინათლისაკენ“, **თამარ ქორიძის** „ჩემი სამშობლო საქართველოა“, **ლალი სუხაშვილის** „ანბანის გაცილება“, **მზია გელაშვილის** „სკოლა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში“, **თამარ ხუციშვილის** „არ ვიცით – ვიცით“, **ნათელა ბუძიშვილის** „ვიქტორინა მათემატიკაში“, **ნინო და ზოია მაღრაძეების** „ანბანის გაცილება“, **ჯული ქუმარიტაშვილის** „ყვავილების დღესასწაული“, **მანანა მაზიაშვილის** „დედაენის დღესასწაული“.

შთამბეჭდავად გაფორმებულ დეკორაციებთან მოსწავლეები, ნამდვილი მსახიობებივით, სადღესასწაულო კოსტუმებით იწონებდნენ თავს. თითოეულ კლასს ორიგინალურად ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი ჩანაფიქრი.

ღრმად გააზრებულმა და კარგად ორგანიზებულმა შემოქმედებითმა აქტივობებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. მშობლები და მოწვეული სტუმრები აღტაცებას ვერ მალავდნენ.

რასაკვირველია, საქმისადმი სიყვარული, მაღალი პროფესიონალიზმი და სიკეთის ქმნის სურვილი არასოდეს ტოვებს ადამიანს, რომელსაც ახალი თაობის ღირსეულად აღზრდა დაუსახავს მიზნად. წინ დიდი გზაა სინათლისაკენ: „იარონ, იარონ, იარონ, ამინ!“, ცოდნა ხომ სინათლეა, იჩქარეთ სინათლისაკენ.

ქეთევან ჭელიძე
№190 საჯარო სკოლის ინოვაციური ცენტრის ხელმძღვანელი

„KUTAISI LIONS CLUB“-ის პროექტი ქუთაისის N8 საჯარო სკოლაში

საერთაშორისო ორგანიზაცია „KUTAISI LIONS CLUB“, პროექტით – „უნარ-ჩვევები მოზარდებისათვის“, პილოტირებას გადიოდა ქუთაისის ხუთ სკოლაში, მათ შორის იყო №8 საჯარო სკოლაც. სწავლება მიმდინარეობდა მე-8 კლასში. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **მედეა გოქაძემ** გაიარა პროექტის „LIONS QUEST – GEORGIA“ ტრენინგკურსი „უნარ-ჩვევები მოზარდებისათვის“ – *სწავლების მეთოდოლოგია*, გადაეცა სერტიფიკატი. პროექტის ფარგლებში, სწავლების პროცესში ტარდებოდა ღია გაკვეთილები, რომლებსაც პერიოდულად ესწრებოდნენ: პროექტის ამერიკელი კონსულტანტი **ლატოია პალეი**, საპილოტე სკოლების ექსპერტი, ფილოლოგიის დოქტორი **თამარ ჭეიშვილი** და სკოლის დირექტორი **რეზო სირბილაძე**.

ორგანიზაციამ ასევე გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო პროექტზე – „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ (მომსახურეობის სწავლება – ერთი მნიშვნელოვანი საჭიროება სკოლისა და საზოგადოებისათვის). აღნიშნულ პროექტზე მუშაობას კვლავ მასწავლებელი მედეა გოქაძე ხელმძღვანელობდა. მან შეკრიბა მოსწავლეთა ჯგუფი, რომელშიც გააერთიანა მერვეკლასელები: **ნინო გაბელაშვილი, მაგდა ჯოგლიძე, მარიამ ნებიერიძე, გიორგი ჩიტიანი, ნინო ხუნდაძე** და **ნია ხარაბაძე**. ჯგუფმა შექმნა პროექტი – „ჯანსაღი ცხოვრების წესი – საქართველოს ბუნებას ქომაგი სჭირდება“, მოაწყვეს მხატვრულ-შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიება, რომლის მიზანი იყო მოსწავლე ახალგაზრდობას შორის აზრის განმტკიცება, რომ ჯანსაღი ცხოვრებისათვის აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მიზნის მიღწევისათვის კი, პოზიტიური ქმედებისათვის, მათ საჭირო უნარ-ჩვევები უნდა ჩამოუყალიბდეთ.

პროექტმა გაიმარჯვა. ამასთან დაკავშირებით, 2013 წლის 19 ივნისს, სკოლას ესტუმრნენ: საერთაშორისო პროექტის „LIONS CLUB“ ხელმძღვანელი **სოფიო კვატაშიძე** და პროექტის თანამშრომელი, ქუთაისის საკრებულოს ეკონომიკის საკითხთა კომისიის სპეციალისტი **ნათია ცირეკიძე**. მათ პროექტის ხელმძღვანელს, ქალბატონ მედეა გოქაძეს და მოსწავლეებს გადასცეს ფასიანი საჩუქარი – ფოტოაპარატი, ხოლო სკოლის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადეს მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის.

სკოლის დირექტორმა რეზო სირბილაძემ მადლობა გადაუხადა პროექტში მონაწილე მოსწავლეებს და მათ ხელმძღვანელს, ქალბატონ მედეა გოქაძეს, სტუმრებს და გამოთქვა მზადყოფნა, რომ სკოლა მომავალი სასწავლო წლისათვის უფრო ფართოდ ჩაერთვება განათლების სამინისტროსა და ქალაქის განათლების სამსახურის მიერ გამოცხადებულ პროექტებსა და კონკურსებში.

მზია ზარნაძე
სსიპ ქ. ქუთაისის №8 საჯარო სკოლის პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

მეგობრობას დიდი ძალა აქვს

საგარეჯოს №3 საჯარო სკოლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთ-ერთი საუკეთესო სააღმზრდელო დაწესებულებაა (დირექტორი – **ნატალია კურდღელაშვილი**). 167 მოსწავლის სწავლა-აღზრდის საქმეს 28 პედაგოგი ემსახურება. აქ მუშაობს ბევრი სერტიფიცირებული და ღირსების ორდენოსანი მასწავლებელი. მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ მოსწავლეებსაც: ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციებში, სასკოლო პროექტებსა და ღონისძიებებში.

თითოეული მასწავლებელი თავის მუშაობაში უდიდეს ადგილს უთმობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებას, ისინი აღსაზრდელებს უქმნიან პირობებს მათი ინტელექტუალური, ფიზიკური, სულიერი თვისებებისა თუ მიდრეკილებების გამოსავლენად და გასავითარებლად. სწორედ ამგვარი მუშაობის შედეგი იყო ულამაზესი წარმოდგენა, რომელიც სკოლის სააქტო დარბაზში შეკრებილმა მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და სტუმრებმა იხილეს.

მეხუთეკლასელებს (კლასის ხელმძღვანელი – **ნანა ბეჟიტაშვილი**) გადაუწყვეტიათ ძველი ქართული ზღაპრის „რწყილი და ჭიანჭველა“ ახლებური ვერსიის ინსცენირება. მათ, თურმე, აწვალებთ კითხვა – სანამ წყალში ჩავარდნილი საცოდავი ჭიანჭველა მეგობრის საშველად წასულ რწყილს ელოდებოდა, რატომ არავინ გამოჩნდა, ვინც გაჭირვებულს დაეხმარებოდა? ნუთუ ასე გაციებიათ ადამიანებს გულები და სეირს უყურებდნენ?

ჰოდა, პატარებმა ზღაპრის სცენარს საკუთარი ჩანაფიქრი დაამატეს, კლასის ხელმძღვანელ ნანა ბეჟიტაშვილთან ერთად მუსიკალურად გააფორმეს და თავიანთი საყვარელი ზღაპრის პერსონაჟები – რწყილი, ჭიანჭველა, ძროხა, ღორი, კატა, მუხა... – პატარა მსახიობებმა – **გურამ დარისპანაშვილმა, ბექა ზარიაშვილმა, ჯონი ლაფერიშვილმა, მაკა, ნინო და გიორგი მარტიაშვილებმა, გიორგი სულიკაშვილმა, მარი შაქარაშვილმა, სოსო ჯანაშვილმა, თამარ დარისპანაშვილმა** – განასახიერეს. ინსცენირების წამყვანები იყვნენ: **ნუცა როსტიაშვილი** და **ნინო ბუზარიაშვილი**.

მეხუთეკლასელებმა თავიანთი ჩანაფიქრი – თანადგომა, სიყვარული და მეგობრობა გადაგვარჩენს – კარგად მიიტანეს მაყურებლამდე. მათ სიტყვის „მეგობრობა“ ეტიმოლოგიაც იციან – „გობი“-სგან (დიდი ზომის ხის ჭურჭელი, ამოთლილი ან შეკრული) არის წარმოქმნილი. მოსწავლეებმა დარბაზში მსხდომთ აჩვენეს, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებში გამოკვეთილი პრობლემატიკის ერთმანეთთან დაკავშირება, შედარება და შეპირისპირება შეუძლიათ. დაგმეს ბოროტება, მტრობა და უმღერეს მეგობრობას, მას ხომ დიდი ძალა აქვს.

ამ ღონისძიებით გამოემშვიდობნენ მეხუთეკლასელები სკოლას, მათ საზაფხულო არდადაგები დაეწყოთ და იმედია, კლასის ხელმძღვანელის თხოვნას შეასრულებენ – მათი ასაკისათვის შესაფერის მხატვრულ ლიტერატურას წაიკითხავენ და ცოდნის დონეს უფრო აიმაღლებენ.

ლეილა არჩემაშვილი

ინფორმაცია

MCA-საქართველოს მე-2 კომპაქტის პრეზენტაცია გაიმართა

საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატისა (AmCham) და საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) მოწვევით, ათასწლეულის გამოწვევის საქართველოს ფონდმა ბიზნეს საზოგადოებას საქართველოში MCC-ის მეორე კომპაქტი წარუდგინა. აღნიშნული პრეზენტაციის მიზანი იყო კომპაქტის ხელმოწერისა და დაწყების მოსამზადებელი ეტაპის კუთხით მიღწეული პროგრესის წარმოჩენა. აღნიშნულ პრეზენტაციას საქართველოს 100-ზე მეტი უმსხვილესი კომპანია ესწრებოდა.

შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **გიორგი მარგველაშვილმა** გახსნა, შეხვედრაში, ასევე, მონაწილეობდნენ: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში **რიჩარდ ნორლანდი** და საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**. პრეზენტაციას უძღვებოდა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი **ჯიმ მაკ-ნიკოლასი** და MCA-საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გია ზურაბაშვილი**.

2013 წლის 19 ივნისს, აშშ-ს მთავრობის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დირექტორთა საბჭომ, საქართველოს 140 მლნ დოლარის მოცულობის 5-წლიანი კომპაქტი დაუმტკიცა, რომელიც მიზნად ისახავს, მეცნიერების და ტექნოლოგიური განათლების ინვესტირების გზით, ადამიანური კაპიტალის ხარისხის ზრდას და სამუშაო ძალის განვითარებას.

„ეკონომიკური ზრდისთვის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს მოქალაქეთა უზრუნველყოფა იმ განათლებითა და უნარებით, რაც მათ მოდერნიზებულ ეკონომიკაში წარმატების მისაღწევად სჭირდებათ,“ – განაცხადა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **დანიელ იოჰანესმა** და აღნიშნა, რომ „წინამდებარე კომპაქტი გააძლიერებს საქართველოში არსებულ სასწავლო, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო დაწესებულებებს ისე, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ შეისწავლონ ის უნარები, რაც პირდაპირ კავშირშია მრეწველობასთან, რომელიც იწვევს ეკონომიკურ ზრდას. უკეთესად განათლებული მუშახელი დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას, ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, განამტკიცებს დემოკრატიულ თანამონაწილეობას და გააუმჯობესებს საქართველოს მდგომარეობას – გახდეს ამერიკის შეერთებული შტატების ძლიერი სავაჭრო პარტნიორი.“

მომდევნო კომპაქტისათვის საქართველოს მთავრობამ განახორციელა ანალიზი, რომელმაც განსაზღვრა, რომ ადამიანური კაპიტალის არსებული დონე ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორია, რაც განსაკუთრებით მეცნიერებისა და ტექნოლოგიის დარგში, საინჟინრო სფეროსა და მათემატიკაში (STEM) იგრძნობა.

აღნიშნულ სფეროებში განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და გამომუშავების პოტენციალის გაზრდისათვის, შემოთავაზებული კომპაქტი სტრატეგიულ ინვესტიციებს განახორციელებს, სტუდენტის ზოგადი განათლების ეტაპიდან დაწყებული ტექნიკური მომზადების და სწავლების მომდევნო საფეხურების დამთავრების ჩათვლით, რომლის დროსაც ყურადღება გამახვილდება STEM-ის პროფესიებში ქალთა მონაწილეობის გაზრდაზე.

კომპაქტი, რომელსაც ხელი უნდა მოეწეროს 2013 წლის ზაფხულში, შედგება სამი პროექტისგან:

– **ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების პროექტი** მიზნად ისახავს ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას სკოლების რეაბილიტაციის, პედაგოგთა და სკოლის ხელმძღვანელთა მომზადების გზით და საგანმანათლებლო შეფასებების მხარდაჭერას.

– **სამრეწველო უნარ-ჩვევების და სამუშაო ძალის განვითარების პროექტი** მიზნად ისახავს ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას შესაბამისი ტექნიკური უნარების მქონე საქართველოს მოქალაქეებით.

– **STEM-ის უმაღლესი განათლების პროექტის** მიზანია ერთი ან მეტი ამერიკული უნივერსიტეტის პარტნიორების მოზიდვა მეცნიერების, ტექნოლოგიის, საინჟინრო და მათემატიკური განათლების მოდერნიზების მიზნით და მაღალი ხარისხის პროგრამების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს პროდუქტიულობისა და სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობის ზრდასა და განვითარებას.

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საბჭომ, 2011 წლის იანვარში, საქართველო აირჩია მეორე კომპაქტის განვითარებაზე უფლებამოსილად; ქვეყანამ, 2011 წლის აპრილში, ხუთწლიანი, 395.3 მლნ დოლარის მოცულობის, კომპაქტი წარმატებით დაასრულა.

სომეხ და აზერბაიჯანელ პედაგოგებს სერტიფიკატები გადაეცათ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ალუდა გოგლიჩიძემ** და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ (CCIIR) ხელმძღვანელმა **შალვა ტაბატაძემ** დაწყებითი კლასების 40 სომეხ და აზერბაიჯანელ პედაგოგს სერტიფიკატები გადასცეს.

გაცვლითი პროგრამა „ურთიერთთანამშრომლობა ქვემო ქართლის/სამცხე-ჯავახეთისა და საქართველოს სხვა რეგიონების მასწავლებლებს შორის“ არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი კლასის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასა და საქართველოს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლების თანამშრომლობას ისახავდა მიზნად.

პროგრამის ფარგლებში, დაწყებითი კლასების სომეხმა და აზერბაიჯანელმა მასწავლებლებმა, ერთი თვის განმავლობაში, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქართულ სკოლებში, ქართველ მასწავლებელთან ერთად იმუშავეს. პედაგოგები კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს დაესწრნენ და მონაწილეობა მიიღეს გაკვეთილის დაგეგმვისა და მსვლელობის პროცესში.

პროექტი სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით განხორციელდა.

ჯადოსნური დღეები აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისათვის

მედეა ზუხბაია

მრავალი წელია კინოცენტრი „აფხაზეთი“ საინტერესო პროექტებს სთავაზობს აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებს. ყველა პროექტი ინტელექტუალურ-შემეცნებითი ხასიათისაა და ხელს უწყობს მოზარდებში შრომისმოყვარეობის, ესთეტიკური გემოვნების, შემოქმედებითი აზროვნებისა და საკვლევაძიებო უნარის გამომუშავებას.

თავისი საქმიანობით ორგანიზაცია მხარს უჭერს და ხელს უწყობს საქართველოს პოლიტიკის განხორციელებას სამოქალაქო და სამშვიდობო ინიციატივების გატარებაში დევნილებთან მიმართებაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების მოსწავლეები, კინოცენტრ „აფხაზეთის“ ორგანიზებით, ხშირად სტუმრობენ საგამოფენო დარბაზებსა თუ მუზეუმებს. ატარებენ საქველმოქმედო აქციებს. ორგანიზაციის ყურადღების მიღმა არ რჩება არც ერთი მნიშვნელოვანი თარიღი, რომელიც დევნილი მოზარდის გათვითცნობიერებასა და საინტერესო პიროვნებად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

გამონაკლისი არც ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეული იყო, რომელიც 31 მაისს დაიწყო და მოზარდებს უდიდესი სიამოვნება მიანიჭა.

ბავშვთა გასართობი ცენტრი „ბაო-ბაბი“, უკვე მრავალი წელია, მასპინძლობს აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ მოზარდებს. ტრადიციად ქცეულ ზეიმს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების 45 მოზარდი დაესწრო. მათთვის მოეწყო სხვადასხვა მხიარული აქტივობა. აქციის – „ნაყინების თაიგული ბავშვებს“ ფარგლებში, კომპანია „გურჯაანის ნაყინი“ (დირექტორი – **გურამ ბერიკაშვილი**) ყველა მოზარდს გაუმასპინძლდა.

ანა ბაღათურია, აფხაზეთის №2 საჯარო სკოლა: *„ძალიან ბედნიერი ვარ, ამ ღონისძიებაში რომ ვმონაწილეობ. აქ ყველაფერი ჩვენთვის მოეწყო. დღე მხიარულად გავატარეთ. დიდი მადლობა ყველას ამ ლამაზი დღისათვის“.*

ნიკა ხარბედია, აფხაზეთის №3 საჯარო სკოლა: *„დიდი სიამოვნებითა და სიხარულით ვესტუმრე „ბაო-ბაბს“. ბავშვებმა სხვადასხვა აქტივობებში მივიღეთ მონაწილეობა. გაგვიმასპინძლდნენ უგემრიელესი ნაყინით. ეს დღე მეტად მნიშვნელოვანია ჩემთვის. ძალიან მინდა სოციალურად დაუცველი მოზარდებისთვის ხშირად ტარდებოდეს ასეთი აქციები“.*

იმავე დღეს ღონისძიება გაგრძელდა რუსთაველის გამზირზე. ხელოვნების სკოლის „აფხაზეთი-1“ სამხატვრო განყოფილების მოსწავლეებმა (დირექტორი – **თამარ ახალაია**) მონაწილეობა მიიღეს კინოცენტრ „აფხაზეთის“ ორგანიზებითა და საქართველოს მხატვართა კავშირის ინიციატივით მოწყობილ გამოფენაში „მე მიყვარს ხატვა“. გამოფენა-აქციის ფარგლებში, ბავშვებისათვის მასტერკლასები ჩატარდა. მოზარდებმა იქვე დახატეს და გამოფინეს საკუთარი ნახატები.

გიორგი მურუსიძე, ხელოვნების სკოლის „აფხაზეთი-1“ სამხატვრო განყოფილების მოსწავლე: *„ხატვა ბავშვობიდანვე მიყვარს. დიდი სიამოვნებით ვებმები მსგავს ღონისძიებებში. მიხარია, რომ ვმონაწილეობ გამოჩენილ მხატვრებთან ერთად. ჩემი ნახატი გამოვფინე. დიდი მოწონება დაიმსახურა“.*

2 ივნისი. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, ანსამბლმა „გვირილამ“ (ხელმძღვანელი – **ერნა წიფურია**), რომელმაც ოცწლიანი არსებობის მანძილზე უამრავ დევნილ ბავშვს შეაყვარა მუსიკა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების 60 მოზარდი საქველმოქმედო ფესტივალზე მოიწვია და უდიდესი სიამოვნება მიანიჭა.

6 ივნისი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების მოსწავლეები ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის (დირექტორი – **გიორგი უშიკიშვილი**) საგამოფენო დარბაზს ეწვივნენ. დაათვალიერეს ქართული, უკრაინული და ჩეხური ხელნაკეთი თოჯინების გამოფენა. გამოფენილი იყო უკრაინელი, ჩეხი და 43 ქართველი ოსტატის – მეთოჯინის 140-მდე ნამუშევარი. ძალზე საინტერესო იყო ჩეხი მეთოჯინეების ნამუშევრები. ცვილის, თიხის, რბილი ეთნოგრაფიული, გონჯა მარიონეტები... – ორიგინალური ჟანრის თოჯინებმა ბავშვების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

7 ივნისი. ფოლკლორის ცენტრის მცირე საგამოფენო დარბაზში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების 30-მდე ბავშვისათვის ჩეხმა მეთოჯინეებმა მასტერკლასი ჩაატარეს.

ლეილა ბაღბაია, პროექტის ორგანიზატორი: *„კინოცენტრი ყველაფერს აკეთებს დევნილი მოზარდებისთვის. ჩვენი ყოველი პროექტი მიმართულია იქითკენ, რომ აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა იგრძნონ მათზე და მათ იმედიან მომავალზე ზრუნვა“.*

ლეილა თორია, პროექტის ორგანიზატორი: *„ჩვენი ყოველი სამუშაო დღე იწყება და მთავრდება დევნილ მოზარდებზე ფიქრით, ვეძებთ გზებს მათ საკეთილდღეოდ. მთავარი მონდომებაა. მონდომებით ბევრი რამის შექმნაა შესაძლებელი. ძალისხმევას არ ვიშურებთ მათთვის“.*

ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ორგანიზატორები დიდ მადლობას უხდიან „გურჯაანის ნაყინს“, „ბაო-ბაბს“, ანსამბლ „გვირილას“, საქართველოს მხატვართა კავშირსა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს დევნილი ბავშვებისათვის მინიჭებული სიხარულისთვის, ლამაზი, ჯადოსნური დღეებისთვის.

სპორტი

საკალათბურთო ზეიმი სასკოლო ლიგაში

დასრულდა სასკოლო ლიგის გათამაშება კალათბურთში, რომელმაც სტარტი შარშან ნოემბერში აიღო. მისი ინიციატივა სასკოლო კლუბ „მორკინალს“ ეკუთვნოდა, თუმცა დასკვნითი ეტაპი სასკოლო სპორტის ფედერაციამ გადაიბარა, რომელიც აღნიშნული კლუბის ბაზაზე შეიქმნა.

ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა – 1997-98 და 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის და 20-მდე ნაკრები მონაწილეობდა. ყველა მათგანი საკუთრივ საჯარო სკოლებში არსებული საკალათბურთო სექციების გუნდი იყო და არა პროფესიული კლუბები. თუმცა ცალკეულ სკოლებს კი ჰყავდათ პროფესიონალთა შორის მოვარჯიშენი, ოღონდ მხოლოდ თავისი სკოლის მოსწავლეები – სკოლებს გუნდის გასაძლიერებლად დამატებით ვინმეს მიწვევის ნება არ ჰქონდათ.

ამ მრავალთვიანი ტურნირის საბოლოო შედეგები ბევრ რამეში დაემთხვა ერთმანეთს – ორივე ასაკის ფინალში 173-ე და 69-ე საჯარო სკოლების გუნდები გავიდნენ, ბრინჯაოს მედალი კი ორივეში მე-16 საჯარო სკოლამ მოიპოვა (მწვრთნელი – **დავით გელაშვილი**).

ფინალურ პაექრობებს წინა კვირაში სწორედ 173-ე სკოლის სპორტულმა დარბაზმა უმასპინძლა და თავდაპირველად პატარების შეხვედრა გაიმართა. მასპინძლობის მიუხედავად, შეხვედრაში საგრძნობ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ. შეიძლება ითქვას, 69-ე სკოლელებმა (მწვრთნელი – **შალვა ცომაია**) საკმაოდ იოლად გაიმარჯვეს – 40:25. მასპინძელთა გუნდს (მწვრთნელები: **თემურ ბედიანიძე, ბექა გოგუაძე**) სახელად „ჩაუქი“ კი ერქვა, მაგრამ აშკარად ვერ იჩაუქეს. მათ მონდომება და ჟინი ნამდვილად არ აკლდათ, რასაც ვერ ვიტყვით ოსტატობაზე – მეტოქემ სწორედ უკეთესი ოსტატობის ხარჯზე გაიმარჯვა. სტუმრები უფრო ორგანიზებული თამაშით გამოირჩეოდნენ როგორც დაცვაში, ისე შეტევაში, არც გადაცემებში სცოდავდნენ იმდენად და არც ტყორცნებში. თუმცა იყო კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც მათი გამარჯვება განაპირობა – **ნიკოლოზ მანჯიკაშვილი**, რომელიც გუნდის ლიდერად მოგვევლინა და მთელი თამაში ღირსეულადაც გაუძღვა თანაგუნდელებს. თავის ასაკთან შედარებით, ის საკმაოდ ტანმაღალიცაა, რასაც კარგად იყენებდა. საჭიროებისას თამაშსაც კარგად ალაგებდა, თუმცა იმ შეხვედრაში მის მთავარ ღირსებად ზუსტი სროლები იქცა – მრავალმხრივ გამორჩეული რომ იყო, ეს უკვე ვთქვით, ამ კომპონენტში კი, ვგონებთ, უნაკლო გამოდგა. სავსებით ლოგიკურია, რომ ის არა მხოლოდ თავისი გუნდის, არამედ მთელი თამაშის ბომბარდირი გახდა – მის ანგარიშზე 25 ქულაა, ანუ ზუსტად იმდენი, რამდენიც მთლიანად ჩააგდო მასპინძელთა გუნდმა. ამ ბიჭის ოსტატობაზე ისიც მიუთითებს, რომ ცომაიამ უფროსთა შორისაც ათამაშა. მეტიც – სასტარტო ხუთეულშიც კი დააყენა.

69-ე სკოლელთა შორის კიდევ ერთმა მოთამაშემ მიიქცია ყურადღება – **ლაშა აუევი** მოედანზე ერთ-ერთი ყველაზე ტანდაბალი იყო, თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც გამორჩეულად შესამჩნევი გახლდათ დარბაზში. იქნებ ის არ გამოირჩეოდა მანჯიკაშვილის დარი სიზუსტით, მაგრამ დახვეწილი დრიბლინგის წყალობით, მშვენივრად ატარებდა ბურთს და მოხერხებულად მიძვრებოდა მეტოქის კალათისკენ. ბოლო პერიოდში მან ზედიზედ ორჯერ ულამაზესი მომენტი შემოგვთავაზა, როცა ბურთიანად ლამის მთელი მოედანი გაიარა, ფარქვეშ შეჭრილმა კი ნახტომში, ტრიალით ჩააგდო კალათში.

173-ე სკოლელებმა 69-ეზე ჯავრი უფროსთა ფინალში იყარეს, სადაც იმაზე უფრო დიდ უპირატესობას ფლობდნენ, ვიდრე მეტოქე წინა შეხვედრაში. ფინალებს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, კლუბ „სოხუმის“ მთავარი მწვრთნელი და **ნიკა ცქიტიშვილის** აღმომჩენი **ვაჟა კვარაცხელიაც** სჯიდა. მასპინძელთა რიგებში მისი სამი შეგირდიც გამოდიოდა, რომლებიც ამ სკოლაში სწავლობენ და „სოხუმის“ ასაკობრივ გუნდებში თამაშობენ. სწორედ ერთი მათგანი – **გიორგი ყეინაშვილი** მოგვევლინა მასპინძელთა წარმატების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. ის ბურთსაც გონივრულად ანაწილებდა, თამაშსაც კარგად ალაგებდა და ზუსტადაც ისროდა. თუმცა მომავალ ჩემპიონებს (მწვრთნელი – **დავით მენაბდიშვილი**) ასეთი კოზირი მეორეც ჰყავდათ – **გიგა ტულუში**, რომელიც პერიოდულად წარმატებით ითავსებდა ლიდერობას. ნიშანდობლივია, რომ მასპინძელთა რიგებში საუკეთესონი ისინი იყვნენ – 16-16 ქულა ჩააგდეს.

69-ე სკოლელებმა ვერაფრით იპოვეს თავისი თამაში – არც სროლები წაუვიდათ, ვერც შეტევაში ყოჩაღობდნენ და დაცვაშიც სუსტად იდგნენ. განსაკუთრებით ფარქვეშ სცოდავდნენ – ვერ ვიტყვით, რომ მასპინძლები სიმაღლეში დიდ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ სტუმრებს უჭირდათ როგორც საკუთარ ფარქვეშ ბურთზე თამაში, ასევე ზუსტი სროლები მეტოქის კალათში. დაღლილობის ბრალი იყო თუ მწვრთნელის გადაწყვეტილება, მანჯიკაშვილი ამჯერად არ ცდილობდა ლიდერის ტვირთის საკუთარ თავზე აღებას, სხვა კი ყეინაშვილისა და მისი რაზმის შემჩერებელი არავინ აღმოჩნდა. არადა, მანჯიკაშვილი სროლების სიზუსტით ახლაც გამოირჩეოდა – ამჯერად ბევრი არ უსვრია, მაგრამ გამოყენების პროცენტი მაინც მაღალი ჰქონდა.

საბოლოოდ, როგორც გითხარით, ორივე ასაკში ბრინჯაოს მედლები მე-16 სკოლამ მოიპოვა, 173-ემ და 69-ემ კი ოქროს მედლები გაინაწილეს – უფროსებში მასპინძლებმა მოიპოვეს, უმცროსებში – სტუმრებმა. ცხადია, მოგება ყველას უნდოდა და წაგებით კმაყოფილი არავინ დარჩენილა, თუმცა ბავშვების რეაქციაში შედეგზე მეტად ის ჩანდა, რომ ეს ტურნირი მათთვის კარგი საჩუქარი, ერთგვარი სპორტული ზეიმი იყო.

მორკინალს ვინ შეერკინება

კალათბურთის შემდეგ სასკოლო ლიგაში ფეხბურთის ჯერი დადგა – წინა კვირას, ყოფილი ფიზკულტურის აკადემიის სტადიონზე, დასრულდა გათამაშება, რომელმაც სტარტი სასკოლო კლუბ „მორკინალის“ ხელში აიღო და ახალშექმნილმა სასკოლო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ დაასრულა.

კიდევ ერთი პარალელი ამ სახეობებს შორის – საფეხბურთო ლიგაც შემოდგომაზე დაიწყო და საჯარო სკოლებს კარგი ტურნირი აჩუქა. თავიდან ორ ეტაპად ჩატარდა – საფეხბურთო სექციების გუნდები ერთად თამაშობდნენ, საჯარო სკოლების – ცალკე. ამათ შორის გამოვლინდა 4-4 საუკეთესო, რომლებმაც, მოგვიანებით, ერთმანეთში პლეი ოფის სისტემით გააგრძელეს ასპარეზობა. ტურნირში დედაქალაქელებთან ერთად რაიონების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ფინალშიც ერთი ასეთი „არაპროფესიული“ – №115 საჯარო სკოლის „მორკინალი“ (მწვრთნელები: **გია ბეგიაშვილი, ამირან სხილაძე**) და ერთიც არათბილისური – კასპის სასპორტო სკოლის (მწვრთნელი – **ავთანდილ ჯალალი**) გუნდები გავიდნენ; მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლება კრწანისი-ავლაბრის გაერთიანებულმა გუნდმა და საფეხბურთო კლუბმა „ბერმუხამ“ მოიპოვეს.

ფინალურ მატჩს წინ 115-ე სკოლის ტანმოვარჯიშეთა გუნდის მიერ შესრულებული სანახაობა უძღოდა (ხელმძღვანელი – **გულიკო ლორია**), შემდეგ მათ ჰიმნი შეასრულეს და შეხვედრაც დაიწყო. წინდაწინვე გეტყვით, რომ მატჩი საკმაოდ დრამატული გამოდგა და გამარჯვებული პენალტების სერიამ გამოავლინა. ამ საფეხბურთო ლატარეაში ბედმა თბილისელებს გაუღიმა, რაც ლოგიკურად მიგვაჩნია. საქმე ისაა, რომ ძირითადი დროის მიწურულს მსაჯმა კასპელებს პენალტი არ დაუდო, როცა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშეს. არბიტრი იმ ეპიზოდთან იმდენად ახლოს იმყოფებოდა, შეუძლებელი იყო, მომხდარი არ დაენახა, თუმცა ისიც წარმოუდგენელია, შემთხვევითობად მიეჩნია. იქნებ მცველმა ინსტინქტურად გასწია ხელი, მაგრამ აშკარად შეაჩერა ბურთი, ეს ხელზე მოხვედრა არ იყო. ასეა თუ ისე, იმ დროს სულ რამდენიმე წუთი რჩებოდა დასრულებამდე და ვფიქრობთ, უფრო თამაში არ გააფუჭა...

მოვლენებს წინ კიდევ ერთხელ გავუსწრებთ და იმასაც გეტყვით, რომ წაგებამ კასპელთა მებრძოლ გუნდზე ძალიან იმოქმედა და ლამის მთელი გუნდი ტიროდა, თუმცა ცრემლები მალევე შეიმშრალეს და მეტოქეს მოგება ვაჟკაცურად, უფროსი კაცების სიდარბაისლით მიულოცეს. თავის მხრივ, თბილისელებმაც მალევე მოთოკეს ემოციები, ჟივილ-ხივილს თავი ანებეს და წაგებული რაინდულად ანუგეშეს. მათ მოახერხეს იმ შუალედის დაჭერა, რომ ეს ნუგეშისცემა ქედმაღლობაში კი არ გადაუვიდათ, არამედ ხაზი გაუსვეს კასპელთა კარგ თამაშს და მედგარ მეტოქეობას – ვფიქრობთ, ორივე მხარის საქციელში ყველაზე მნიშვნელოვანი ეს იყო.

ვერ ვიტყვით, რომ ორთაბრძოლა დაძაბული მომენტებით უხვი აღმოჩნდა, თუმცა არც უამისობა იყო. ვფიქრობთ, ამაში პატარებს ხელი მინდორმაც შეუშალა, რომელსაც აშკარად აკლია მზრუნველი ხელი. უსწორმასწორო ნიადაგი მოზარდებს კი არა, უფროსებსაც შეუშლიდა ხელს, ბურთი ისე ხტოდა. ამასთან, მომეჩვენა, რომ ამ ასაკის ბავშვებისთვის სტადიონიც დიდი იყო, იმის მიუხედავად, რომ მხოლოდ მისი ნაწილი გამოიყენეს.

„მორკინალი“ ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის კარგადაა ცნობილი, რადგან ხშირად ვწერდით მათ შესახებ. ფინალშიც თამაშობდა მათი ლიდერი **ბექა ბექაური**, თუმცა ამჯერად შედარებით შეუმჩნეველი იყო, ყოჩობა კი სხვებმა გადაიბარეს – დაცვაში კარგად ირჯებოდა **ლუკა შუბითიძე, გიორგი ჯიქიამ** კი ორჯერ გამოიჩინა თავი. პირველად ეს ძირითად დროში მოხდა, როცა საჯარიმო ჩინებულად დაარტყა, თუმცა ბურთი ძელმა აისხლიტა, მეორედ კი პენალტების სერიის გმირი გახდა. მის მიერ შესრულებული საჯარიმო თბილისელთა შორის ძირითადი დროის ყველაზე მწვავე ეპიზოდი იყო, რასაც კასპელებმა ასევე იშვიათი სახიფათო დარტყმით უპასუხეს. საერთოდ, თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და არც ბურთი ჩერდებოდა მოედნის ცენტრში, მაგრამ შეტევის ბოლოს, კარში დარტყმისას ორივე გუნდი სცოდავდა. სახიფათო დარტყმებიც ამიტომ არ იყო ბევრი, იმ თითოოროლა ეპიზოდში კი მეკარეებმა გამოავლინეს ოსტატობა.

საყოველთაო მოსაზრებით, პენალტების სერია ლატარეაა და აქ ბედმა უფრო თბილისელებს გაუღიმა, თუმცა გიორგი ჯიქიას მტკიცე ნერვები აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ – მან გადამწყვეტი პენალტი გაიტანა და თანაგუნდელებს 5:4 მოაგებინა.

მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კრწანისი-ავლაბრის გუნდმა „ბერმუხას“ 4:2 მოუგო. გამარჯვებული ნაკრები თბილისის 88-ე და 144-ე საჯარო სკოლების ბაზაზეა გაერთიანებული, რომელსაც **მირზა სამხარაძე** და **მამუკა გაბრიჩიძე** წვრთნიდნენ. მედალოსნებმა დიპლომები, მედლები და შეჯიბრების გენერალურ სპონსორ „კაპტოსგან“ საჩუქრად პრიზები მიიღეს.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა



სამი ტომის ფასი 15 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით ალმაშენებელი
26. გურამ ასათიანი
27. გრიგოლ როგაძიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო დიდტერატურის კლასიკოსები“

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა გედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე

~~11 ლარი~~
~~9 ლარი~~

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

თამარ ბეროზაშვილი

10 ლარი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/აGE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK